პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 237 (9705) | ოთხშაბათი, 7 ოქტომბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ამხანაგ კ. ვოროშილოვის დეპეშა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ვილჰელმ პიკს (1-ლი გვერდი).

ამხანაგ გ. მალენკოვის დეპეშა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ამხანაგ ოტო გროტევოლს (1-ლი გვერდი).

ამხანაგ ვ. მოლოტოვის დეპეშა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ლოტარ ბოლცს (1-ლი გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).

აბრეშუმის რჩევა-დარიგება. — ვ. კომინაშვილი. — კარტოფილის დარგვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი. — ... ეკონომიური მნიშვნელობა (მე-3 გვერდი).

პარტიული ძრწინვა (მე-3 გვერდი).

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (მე-3 გვერდი).

ლაშვილი. — ოსი მწერალი დავით ჯიოევი (მე-3 გვერდი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოთხი წლისთავი. ვილჰელმ პიკის სტატია (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

კარტოფილისა და ბოსტნეულის სიუხვისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა თავის გადაწყვეტილებაში „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ კარტოფილისა და ბოსტნეულის მკვეთრი ზრდის დიდი პროგრამა დასახა. მებოსტნეობასა და კარტოფილის წარმოებაში მთავარი ამოცანაა მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდება კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვისა და მოწინავე აგროხერხების გამოყენების საფუძველზე. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება „1953-1955 წლებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდების ღონისძიებათა და დამზადების შესახებ“.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებში დასახულია კარტოფილისა და ბოსტნეულის მკვეთრად გადიდების, ამ კულტურების მოყვანისა და მოსავლის აღების სამუშაოთა მექანიზაციის ვრცელი ღონისძიებანი.

პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებით კოლმეურნეთა ეკონომიური დაინტერესების ამაღლებისათვის. 1953 წლის მოსავლით დაწყებული გადიდებულია სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი კარტოფილისა და ბოსტნეულის დასამზადებელი ფასები. რჩევა მიეცათ კოლმეურნეობებს იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, საერთო კრებების გადაწყვეტილებით ავანსად მისცენ კოლმეურნეებს კარტოფილისა და ბოსტნეულის რეალიზაციით შემოსული ფულადი სახსრების 25 პროცენტამდე. 1953 წლის მოსავლით დაწყებული, შემცირებულია სავალდებულო ჩაბარების ნორმები. ეს სერიოზული მატერიალური სტიმულებია, და ისინი შეასრულებენ დიდ როლს ჩვენს ქვეყანაში კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავლის მკვეთრად გადიდების საქმეში.

საქართველოს მშრომელები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობის მიღწევის შესახებ და პრაქტიკულად შეუდგნენ მათს განხორციელებას. დასახული გრანდიოზული პროგრამის შესასრულებლად ძალიან ბევრია გასაკეთებელი. საქართველოს პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ სოფლის მეურნეობისადმი სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად ჩამორჩა მთელი რიგი მნიშვნელოვანი დარგები და კერძოდ, მებოსტნეობა და მეკარტოფილეობა.

ჩვენს რესპუბლიკაში კარტოფილის და ბოსტნეული კულტურების ფართოდ განვითარების უდიდესი შესაძლებლობაა. მაგრამ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო არ აფასებდნენ ამ კულტურების დიდ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას, სათანადოდ არ ზრუნავდნენ მოწინავეთა გამოცდილების, მექანიზაციის და რგვისა და თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესის დანერგვისათვის.

საქართველოს პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანიზაციების წინაშე დგას გადაუდებელი ამოცანა — გადააქციონ მებოსტნეობა და კარტოფილის წარმოება ჩამორჩენილი დარგიდან მოწინავე დარგად, მომავალი წლიდანვე მნიშვნელოვნად გაზარდონ მოსავლიანობა. ამ ამოცანის გადაჭრა ბევრად არის დამოკიდებული მომდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად მოწყობაზე. კარტოფილის მოსავლის აღება ახლა მასობრივად არის გაჩაღებული. დმანისის, ახალციხის და სხვა რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში კარგ მოსავალს იღებენ. მაშასადამე, ამოცანა ის არის, რომ კარტოფილის მთელი მოსავალი უდანაკარგოდ ავიღოთ, პირნათლად შევასრულოთ ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე, საჭირო რაოდენობით შევქმნათ საუკეთესო ხარისხის სათესლე ფონდი. არის სიგნალები იმის შესახებ, რომ ზოგან კარგმა მოსავალმა სოფლის მეურნეობის მუშაკებს თავბრუ დაასხა, მათ შორის თავი იჩინა თვითკმაყოფილებამ და უდარდელობამ. ამის გამო მთელი რიგი კოლმეურნეობები კარტოფილის ამოღების სეზონს მოუმზადებელი შეხვდნენ. ახალციხის რაიონის სოფელ წყალთბილის კოლმეურნეობაში საწყობები არა ჰყოფნით, ამიტომ კარტოფილს სველ მიწურებში ინახავენ. გადაზიდვისას კარტოფილი ქუჩებში ცვივა, დანაკარგები მატულობს. ასეთი ფაქტებია ახალქალაქის, წალკის, ბოგდანოვკის რაიონებშიც. ეს იმას მოწმობს, რომ ამ რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები კონკრეტულად არ ხელმძღვანელობენ, სუსტ კონტროლს უწევენ მოსავლის აღებას. ახლა ძვირფასია თვითეული დღე, თვითეული საათიც კი. კარტოფილის მომყვანმა რაიონებმა მთელი შრომითი რესურსები მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ, რომ არ დაუშვან ჩამორჩენა, დანაკარგი.

დადგა ბოსტნეული კულტურების დამზადების გადამწყვეტი დღეები, მთელ რიგ რაიონებში კი დამზადების გეგმა ცუდად სრულდება. აღმოფხვრილი არ არის ამ სამუშაოთა მავნე რიგითობა, რაც ზიანს აყენებს სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების ინტერესებს. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს 1 ოქტომბრისათვის წლიური გეგმა სანახევროდაც არ ჰქონდათ შესრულებული, რაც დამზადების აშკარა შეუფასებლობით აიხსნება. ბოსტნეულის დამზადების დაბალი ტემპი, მთელ რიგ შემთხვევებში პროდუქციის დაზიანება ამ საქმისადმი საქკონსერვტრესტის და ცეკავშირის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის შედეგია. ბოსტნეულის ძირითადი დამამზადებელი ორგანიზაციები—საქკონსერვტრესტი და ცეკავშირი მოვალენი არიან სასწრაფოდ აღმოფხვრან სერიოზული ნაკლოვანებანი, მეტი ყურადღება მიაქციონ ბოსტნეულის პროდუქციის შეუფერხებელ გადაზიდვას სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად. ბოსტნეულის დამზადების ტემპის გადაჭრით გაძლიერება სოფლის ყველა მშრომელის ღვიძლი საქმეა.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას. ჩვენ გვყავს მოწინავეები, რომლებიც კარტოფილისა და ბოსტნეულის კარგ მოსავალს იღებენ. ქუთაისელ კოლმეურნეს გ. ციცაძეს ყოველწლიურად ჰექტარზე 300-400 ცენტნერი პამიდორი მოჰყავს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 137 ცენტნერისა, ახალციხის რაიონის დაბა ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ი. ჩიტაშვილმა წელს ჰექტარზე 300 ცენტნერი კარტოფილი მიიღო, ნაცვლად 145 ცენტნერისა. ყველა კოლმეურნეობისა და კოლმეურნის კუთვნილებად გახადონ მაღალი მოსავლის ოსტატთა შესანიშნავი გამოცდილება — ეს იდგილობრივი პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

კარტოფილისა და მებოსტნეობის დარგში დასახული დიდი ამოცანების გადაჭრა მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული საქმიანობის გაძლიერებას, სოფლის მეურნეობისადმი საქმის ცოდნით ხელმძღვანელობას. მებოსტნეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი რთული დარგია. ამ დარგს რომ სწორად უხელმძღვანელო, უნდა იცნობდე მას. პარტიული ხელმძღვანელი, რომელიც ვერ იცნობს კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანის მექანიზაციასა და აგროტექნიკას, რომელსაც ვერ წარმოუდგენია კვადრატულ-ბუდობრივი წესით რგვის, თესვის არსი და სხვა აგროტექნიკური ღონისძიებანი, სათავეში ვერ ჩაუდგება მებოსტნეობისა და კარტოფილის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლას.

სოფლის მთელი ძალები დავრაზმოთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, კარტოფილისა და ბოსტნეულის სიუხვისათვის.

კარტიის მოწოდებით სოფლად

რიაზანი. ასობით განცხადება შემოვიდა პარტიის საოლქო კომიტეტსა და რაიონულ კომიტეტში მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მტს-ების ყოფილი ტრაქტორისტები, კომბაინერები, მექანიკოსები თხოულობენ გაგზავნონ ისინი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ში.

ლებედიანის მტს-ში გაემგზავრნენ რიაზანის მანქანათმშენებელი ქარხნის ინჟინერი ბელენკი და მისი ცოლი, რომლებმაც ზაპოროჟიეს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ინსტიტუტი დაამთავრეს, კლეპიკის მტს-ში გაემგზავრა ინჟინერი სლეპენდიაევი, ხოლო პოლიანსკის მდელოსამელიორაციო სადგურში — ინჟინერი კრივოშეევი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ვილჰელმ პიკს

ბერლინი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეოთხე წლისთავთან დაკავშირებით მიიღეთ, ამხანაგო პრეზიდენტო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად ჩემი გულითადი მოლოცვა და სურვილი, რომ გერმანელმა ხალხმა წარმატებები მოიპოვოს ერთიანი მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანიის შექმნის გზაზე.

დაე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

კ. ვოროშილოვი

1953 წლის 6 ოქტომბერი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ამხანაგ ოტო გროტევოლს

ბერლინი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეოთხე წლისთავთან დაკავშირებით გთხოვთ თქვენ, პატივცემულო პრემიერ-მინისტრო, და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიიღოთ ჩემი მხურვალე მოლოცვა.

ოთხი წლის წინათ გერმანელი ხალხის მოწინავე პატრიოტულმა ძალებმა იკისრეს კეთილშობილური მისია—დაიცვან თავიანთი სამშობლოს ერთიანობა, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, უზრუნველყონ მისი განვითარება მშვიდობისა და დემოკრატიის გზით, სხვა ხალხებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის გზით. გერმანელი პატრიოტები სულ უფრო ღრმად იგნებენ, რომ აგრესიული წრეების მიერ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისაკენ აღებული კურსი უდიდეს საფრთხეს უქმნის გერმანელ ერს და მიზნად ისახავს გერმანიის ერთიანი სახელმწიფოს ლიკვიდაციას, გერმანიის გადაქცევას მესამე მსოფლიო ომის კერად. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა გერმანელი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამოხატულებაა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მშვიდობის მომხრე ყველა გერმანელის საიმედო დასაყრდენია.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის ისტორიულ აქტში შეხამებულია ინტერესები გერმანელი ხალხისა და ინტერესები ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხისა, რომლებიც ცდილობენ განამტკიცონ ევროპის და საერთაშორისო უშიშროება. პროგრესულ კაცობრიობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შემდგომი განმტკიცება მიაჩნია იმის დიდმნიშვნელოვან პირობად, რომ საბოლოოდ მოწესრიგდეს გერმანიის საკითხი მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის.

საბჭოთა ადამიანები წარმატებებს უსურვებენ გერმანელ ხალხს მისი ეროვნული ერთიანობის აღდგენისა და მშვიდობისმოყვარე გერმანიის სახელმწიფოს შექმნის საქმეში. ერთიანი დამოუკიდებელი მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიისათვის თავის სამართლიან ბრძოლაში გერმანელი ხალხი მუდამ ჰპოვებს საბჭოთა კავშირის ხალხთა თანაგრძნობასა და მხარდაჭერას.

გ. მალენკოვი

1953 წლის 6 ოქტომბერი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ლოტარ ბოლცს

ბერლინი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეოთხე წლისთავის გამო გთხოვთ თქვენ ამხანაგო მინისტრო, მიიღოთ ჩემი მეგობრული მოლოცვა.

მიიღეთ აგრეთვე ჩემი გულითადი სურვილი, რომ გერმანელმა ხალხმა მოიპოვოს წარმატებანი თავის ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელებაში, ერთიანი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიის სახელმწიფოს აღდგენის საქმეში, რაც შეესაბამება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს.

ვ. მოლოტოვი

1953 წლის 6 ოქტომბერი.

ახალი ტექნიკა—სოფლის მეურნეობას!

სასუქის მომგნევი

სასუქის ტრანსპორტიორი-მომგნევი ერთ-ერთია იმ მრავალი მანქანიდან, რომლებიც გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის კომპლექსური მექანიზაციისათვის. გომელის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანასთან არსებულმა სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ აგროტექნიკისა და აგრონიადაგმცოდნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მექანიზაციის ლაბორატორიასთან თანამეგობრობით შექმნა ეს მანქანა — ნაკელის, ტორფის, მინერალური სასუქებისა და კირის უნივერსალური მომგნევი — „ტურ-7“.

მანქანის ტევადობა შვიდი კუბმეტრია, ტვირთამწეობა — ხუთი ტონა. ტრანსპორტიორ-მომგნევს ძარის ლენტური ტრანსპორტიორის მოძრაობის 20 სიჩქარე აქვს. ეს იმისათვის არის გაკეთებული, რომ რეგულირებულ იქნას სასუქების შეტანის ნორმა. ყველაზე დიდი სიჩქარისას ძარა შვიდ წუთში იცლება, ყველაზე მცირე სისწრაფისას კი სამ საათში. სიჩქარეთა რეგულირებით შეიძლება ჰექტარზე შეტანილ იქნას 50 ტონიდან 3-4 ცენტნერამდე სასუქი.

მანქანის დატვირთვა ხდება მექანიკური მტვირთავის საშუალებით. ტრანსპორტიორით მიწოდებულ მასას აფხვიერებს, ფხვნის და ურევს ფრეზერული დოლი. შემდეგ ეს მასა დისკოებიან მომგნევ აპარატში შედის.

მანქანა უნივერსალურია: მისი საშუალებით შეიძლება შევიტანოთ როგორც ორგანული, ისე მინერალური სასუქები. გარდა ამისა, იგი შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე ნაკელისა და ტორფის მინდვრად გატანისა და გროვებად დაწყობისათვის. საჭიროა მხოლოდ მოვხსნათ გარსაცმი და მომგნევი დისკოები.

„ტურ-7“-ს ტრაქტორთან ერთად ყველა სახის სამუშაოზე მომსახურებას უწევს ერთი ტრაქტორისტი. მომგნევის მექანიზმს ტრაქტორისტი მართავს წვრილი გვარლის საშუალებით, რომელიც ტრაქტორის კაბინასთან არის დაკავშირებული.

1954-1955 წლებში გამოშვებულ იქნება რამდენიმე ათასი უნივერსალური მომგნევი.



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სასუქის ტრანსპორტიორი-მომგნევი „ტურ-7“ მინდვრად. ფოტო ნ. პეტროვისა.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ვ. ი. ლენინის თხზულებათა გამოცემა ბულგარეთში

სოფია, 5 ოქტომბერი. (საკდესი). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გამომცემლობამ ბულგარულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 32-ე ტომი. გამოცემის ტირაჟი 20 ათასი ცალი.

სამრეწველო მშენებლობა ჩინეთში

პეკინი. (საკდესი). როგორც გაზეთი „გუნჟენ-ჟიბაო“ იუწყება, წელს ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში მიმდინარეობს მეტალურგიული, მანქანათმშენებელი და მრეწველობის სხვა დარგების 85 საწარმოს მშენებლობა.

აშშანის მეტალურგიულ კომბინატში შენდება რელსებისა და კოჭების საამქრო, მთლიანნაგლინი მილებისა და თხელფუფრცლოვანი ნაგლინის საამქროები. მიმდინარეობს № 7 ბრმეფის, პირველი მარტენის საამქროს და შავადნაგლინის პირველი საამქროს რეკონსტრუქცია.

მიმდინარე წელს ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის 18 რაიონში დაიწყო წიაღის გეოლოგიური შესწავლა.

1953 წელს ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში დაიწყო ჩინეთის პირველი საავტომობილო ქარხნის, ხარბინის საზომი და საკრელი ინსტრუმენტების ქარხნის, ელექტრომანქანათმშენებელი ქარხნის მშენებლობა, აგრეთვე მუკდენის პირველი და მეორე მანქანათმშენებელი ქარხნების, პნევმატიკური ინსტრუმენტების ქარხნის, ელექტროკაბელის ქარხნისა და სხვა სამრეწველო საწარმოთა გაფართოება.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ ქარხნების მშენებლობის დამთავრების შემდეგ ჩინეთი დიდი რაოდენობით მიიღებს პირველხარისხოვან ტექნიკურ მოწყობილობას, მანქანებსა და ინსტრუმენტებს.

მიმდინარეობს ბევრი შახტის მშენებლობა.

ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში გაჩაღებულია აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის მრავალი საწარმოს მშენებლობა: შენდება ნედლი სელის გადასამუშავებელი ქარხანა, ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში უდიდესი მაქრის ქარხანა, აგრეთვე რეზინის, ქაღალდისა და ფარმაცევტული ფაბრიკები.

ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის სამრეწველო მშენებლობას დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი. მოწინავე საბჭოთა გამოცდილების დანერგვა მნიშვნელოვნად აღიდგმს შრომის ნაყოფიერებას და საშუალებას იძლევა შემცირდეს ბევრი საწარმოს მშენებლობის ვადები.

გაიხსნა რუსული ენის ინსტიტუტი

პრაღა, 5 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს პრაღაში მოხდა რუსული ენის ინსტიტუტის საზეიმო გახსნა. გახსნას დაესწრნენ ეროვნული კრების თავმჯდომარე ზდენეკ ფირლინგერი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე და კულტურის მინისტრი ვაცლავ კოპეცკი, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ზდენეკ ნეედლი, სკოლების მინისტრი ლადისლავ შტოლი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბედრიხ პეესა-ვოდა, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ა. ე. ბოგომოლოვი.

რუსული ენის ინსტიტუტის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა მინისტრმა ლ. შტოლმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს ინსტიტუტი ჩეხოსლოვაკიის მშრომელებს საშუალებას მისცემს კიდევ უფრო კარგად გაეცნონ რუსი ხალხის დიად კულტურას, მოწინავე საბჭოთა კულტურას. ინსტიტუტი ხელს შეუწყობს მოწინავე საბჭოთა გამოცდილების უკეთ გამოყენებას და ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ურღვევი ძმური შეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეს.

20 დეკემბერი რუმინეთის სახალხო საბჭოების არჩევნების დღეა

ბუქარესტი. (საკდესი). პრესაში გამოქვეყნდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ სახალხო საბჭოების დეპუტატთა არჩევნები დაინიშნოს 1953 წლის 20 დეკემბრისათვის. გამოქვეყნდა აგრეთვე სახალხო საბჭოების დეპუტატთა არჩევნების დებულება.

სახალხო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნები მოხდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მშრომელ მოქალაქე, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, სარწმუნოების, განათლების ცენზის, პროფესიის, ბინადრობის მიუხედავად, უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა დეპუტატების არჩევნებში.

ეუფლებიან მანქანების ახალ სახეთა წარმოებას

ვარშავა. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის მრეწველობის საწარმოებში წარმატებით ეუფლებიან რთული ჩარხებისა და მანქანების წარმოებას. მაგალითად, ვროცლავის ვაგონმშენებელმა ქარხანამ „პაფავაგმა“ დაიწყო ახალი ელექტრომავლების სერიული წარმოება. ამ წარმოების კოლექტივმა ვალდებულება აიკისრა მიმდინარე წლის ბოლოსათვის გამოუშვას ახალი ელექტრომავლების პირველი პარტია.

ი. ბ. სტალინის სახელობის პოზნანის მანქანათმშენებელ ქარხანაში დაწყებულია ახალი ტიპის რევოლვერული ჩარხების სერიული წარმოება. ახალი ჩარხებით დეტალების დამუშავება იწარმოებს ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე ძველი კონსტრუქციის ჩარხებით.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამიერკავკასიის რკინიგზის სამგრეხლის განყოფილების წამყვანი პროფესიების მუშაკთა. უფროს და საშუალო მეთაურთა შემადგენლობის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 28 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სს რესპუბლიკაში რკინიგზის ტრანსპორტზე ნამსახურობისათვის დაჯილდოებულ იქნან:

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

57. **კაჭარავა** ილია ივანეს-ძე — გზის შემომ-ველელი.

58. **კაშია** ლავრისი იუსტინეს-ძე — მატარებ-ლის კონტროლიორ-რევიზორი.

59. **კვანტრიშვილი** დავით სიმონის-ძე — დე-პოს უფროსი.

60. **კვანტრიშვილი** მიხეილ პოლიკარპეს-ძე — დეპოს მემანქანე.

61. **კვირკველია** ავქსენტი დიმიტრის-ძე — მეისრე.

62. **კეჩკემაძე** ვარდენ ტრიფონის-ძე — დეპოს მემანქანე.

63. **კოხრეიძე** ალექსანდრე იასონის-ძე — მა-ტარებლის შემდგენელი.

64. **კოხრეიძე** თენგიზ ივლიანეს-ძე — გზის ოსტატი.

65. **კრავეიშვილი** ბარნაბ სერგის-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

66. **კრავეიშვილი** ვასილ ალიას-ძე — განყო-ფილების ტექნიკოსი.

67. **ყუბანეიშვილი** ეზეკია მოსეს-ძე — ლიან-დაგის შემომვლელი.

68. **კუჭუხიძე** ტარასი ლუკას-ძე — სადგურის მორიგე.

69. **ლალაძე** იოსებ გიორგის-ძე — კავშირგაბ-მულობის დისტანციის ელექტრომექანიკოსი.

70. **ლაცაბიძე** არჩილ გიორგის-ძე — მეისრე.

71. **ლეჟავა** გრიგოლ ივანეს-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.

72. **ლეკვეიშვილი** შოთა ნიკოლოზის-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.

73. **ლეონოვი** ვასილ ივანეს-ძე — კავშირგაბ-მულობის დისტანციის უფროსი ელექტრომექა-ნიკოსი.

74. **ლილუაშვილი** ნიკოლოზ ვასილის-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.

75. **მაღლაკელიძე** გიორგი ივანეს-ძე — სად-გურის მორიგე.

76. **მაღლაფერიძე** ნესტორ სტეფანეს-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.

77. **მაჩიტაძე** გიორგი აფრასიონის-ძე — დე-პოს მემანქანე.

78. **მეკვაბიშვილი** ივანე სამსონის-ძე — სად-გურის მორიგე.

79. **მეტონიძე** სერგი სამსონის-ძე — ლიანდა-გის შემომვლელი.

80. **მიგინეიშვილი** პორფილე შამოს-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.

81. **მოდებაძე** ირაკლი თევდორეს-ძე — ლიან-დაგის შემომვლელი.

82. **მოდებაძე** იაკობ სოლომონის-ძე — მეის-რე.

83. **მუჭერია** ალექსანდრე ბესარიონის-ძე — სადგურის უფროსი.

84. **მუმლაძე** პლატონ ნესტორის-ძე — ლიან-დაგის შემომვლელი.

85. **მჭედლიძე** ვიქტორ ყარამანის-ძე — მეისრე.

86. **მჭედლიძე** ვლადიმერ სინოს-ძე — მეისრე.

87. **მჭედლიძე** დავით ონისიმეს-ძე — მატა-რებლის ვაგონის ოსტატი.

88. **ნანობაშვილი** ვალერიან მოსეს-ძე — სავა-გონო უბნის უფროსი.

89. **ნინუა** ანტონ ივანეს-ძე — კანტორის უფ-როსი.

90. **ნოზაძე** ვლადიმერ გიორგის-ძე — დე-პოს მემანქანე.

91. **პასეჩნიკი** ულიან ტარასის-ძე — სალიან-დაგო დისტანციის ბრიგადირი.

92. **პაკარიძე** გიორგი ზაქარიას-ძე — სადგურის უფროსი.

93. **ფერაძე** მიხეილ ივქსენტის-ძე — საორ-თქლმავლო დეპოს მემანქანე.

94. **ფესვიანიძე** გრიგოლ ვლადიმერის-ძე — სადგურის უფროსი.

95. **ფირცხალაიშვილი** გერმანე მელიტონის-ძე — კავშირგაბმულობის დისტანციის ელექტრო-მექანიკოსი.

96. **ფირცხალაიშვილი** ესე დიმიტრის-ძე — მეისრე.

97. **ფირცხალაიშვილი** თეოფილე ილარიო-ნის-ძე — მეისრე.

98. **ფირცხალაიშვილი** შოთა ივლიანეს-ძე — სადგურის მორიგე.

99. **პიტავა** ვასილ პეტრეს-ძე — მთავარი კონდუქტორი.

100. **ფრანგიშვილი** აკაკი ესტატეს-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.

101. **ფხაკაძე** ალექსანდრე ივანეს-ძე — ლიან-დაგის შემომვლელი.

102. **ფხაკაძე** იროდი ნესტორის-ძე — ლიან-დაგის შემომვლელი.

103. **ფცქიალაძე** გერონტი ონისიმეს-ძე — მა-ტარებლის ვაგონის ოსტატი.

104. **რიჟამაძე** გიორგი ნესტორის-ძე — ლიან-დაგის შემომვლელი.

105. **რიჟამაძე** იონა ირაკლის-ძე — დეპოს მემანქანე.

106. **როყუა** იპოლიტე ლუკას-ძე — მეისრე.

107. **რუბინკო** ალექსანდრე ნაზარეს-ძე — მატარებლის კონტროლიორ-რეკიზორი.

108. **საღარეიშვილი** სერგი ტიმოთეს-ძე — სადგურის მორიგე.

109. **სვინტრაძე** მიხეილ ამბაკოს-ძე — დეპოს მემანქანე.

110. **სინათაშვილი** გენადი სოლომონის-ძე — ვაგონების უფროსი გამსინჯავი.

111. **სხირტლაძე** ალექსანდრე ლუარსაბის-ძე — საორთქლმავლო დეპოს განთავისუფლებუ-ლი ბრიგადირი.

112. **ტალიკაძე** მამია ესტატეს-ძე — სადგუ-რის მორიგე.

113. **თევდორაძე** სილოვან სიმონის-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.

114. **ტყემალაძე** გაბრიელ მალაქიას-ძე — მეისრე.

115. **თოფურია** ვასილ ამბაკოს-ძე — გზის ოსტატი.

116. **თოფურია** მიხეილ სტეფანეს-ძე — სად-გურის მორიგე.

117. **ხარაბაძე** ალექსანდრე ნესტორის-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.

118. **ხარატიშვილი** შალვა კონსტანტინეს-ძე — სადგურის უფროსი.

119. **ხოჯანაშვილი** მიხეილ ნესტორის-ძე — სადგურის მორიგე.

120. **ხუსკივაძე** ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე — მეისრე.

121. **ცქიფურიშვილი** ამბროსი ნესტორის-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.

122. **ცქიფურიშვილი** კონსტანტინე ქრისტე-ფორეს-ძე — მეისრე.

123. **ცომაია** თამარ ერმილეს ასული — განყ-ოფილების ინჟინერი.

124. **ჭანკვეტაძე** აკაკი მელიტონის-ძე — კავ-შირგაბმულობის დისტანციის ელექტრომექანი-კოსი.

125. **ჭანტურია** ვასილ ანტონის-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

126. **ჩაფიძე** ეზეკია გიორგის-ძე — მეისრე.

127. **ჩინჩალაძე** სერგი ერასტის-ძე — მატა-რებლის ვაგონის ოსტატი.

128. **ჩიტაია** გერმანე თევდორეს-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

129. **ჩიტაია** ილია მელიტონის-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

130. **ჩიჩუა** ემელიანე სერგის-ძე — ლიანდა-გის შემომვლელი.

131. **ჩულუხაძე** ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე — სალიანდაგო დისტანციის ბრიგადირი.

132. **ჭუმბურიძე** ერმილე ათანასეს-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.

133. **ჭუმბურიძე** ტარასი იოსების-ძე — ლიან-დაგის შემომვლელი.

134. **ჩხეტია** გიორგი ნესტორის-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

135. **შამათავა** არსენ მელიტონის-ძე — მეისრე.

136. **შანიძე** დავით ბესარიონის-ძე — გზის ოსტატი.

137. **შანიძე** მაკარი ონისიმეს-ძე — მთავარი კონდუქტორი.

138. **შარიქაძე** ლეონტი იოკიმეს-ძე — ლიან-დაგის შემომვლელი.

139. **შენგელია** ივანე სტეფანეს-ძე — სა-ლიანდაგო დისტანციის ბრიგადირი.

140. **შერგელაშვილი** ვერა მოსეს ასული — კავშირგაბმულობის დისტანციის ელექტრომე-ქანიკოსი.

141. **შერგილაშვილი** ვასილ ონასიმეს-ძე — სადგურის უფროსი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **ადამია** ვარლამ ნიკოლოზის-ძე — მატარებ-ლის ვაგონის ოსტატი.

2. **ანთაძე** მამია მანუელის-ძე — მატარებლის კონტროლიორ-რევიზორი.

3. **არსენიძე** გიორგი ვლადიმერის-ძე — დეპოს მემანქანე.

4. **ასკურავა** მიხეილ ალექსის-ძე — დეპოს მორიგე.

5. **აბობაძე** ვლადიმერ ლავრენტის-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

6. **ბალავაძე** კონსტანტინე ბესარიონის-ძე — მატარებლის ვაგონის ოსტატი.

7. **ბლუაშვილი** დავით ზაქარიას-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

8. **გამყრელიძე** შოთა პარმენის-ძე — სალიან-დაგო დისტანციის ბრიგადირი.

9. **გაფრინდაშვილი** ალექსანდრე იოსების-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.

10. **გაჩეჩილაძე** ვარლამ ვლადიმერის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

11. **გაჩეჩილაძე** ვახტანგ პავლეს-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

12. **ღვალაძე** ვარლამ დიმიტრის-ძე — ლიან-დაგის შემომვლელი.

13. **გვენეტაძე** გიორგი ალექსანდრეს-ძე — დეპოს მემანქანე.

14. **გერაძე** მიხეილ იოსების-ძე — მატარებ-ლის ვაგონის ოსტატი.

15. **გიორგაძე** ნიკოლოზ ივანეს-ძე — მატა-რებლის ვაგონის ოსტატი.

16. **გოგბერაშვილი** ივანე მელიტონის-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.

17. **გოგისვანიძე** თამარ იუსტინეს ასული — სალიანდაგო დისტანციის ინჟინერი.

18. **გოგოლაძე** კონდრატი ვასილის-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

19. **გორგაძე** სერგი კირილეს-ძე — საორთქლ-მავლო დეპოს მემანქანე.

20. **გურული** შოთა ბესარიონის-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

21. **ჯანელიძე** გიორგი ალექსანდრეს-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს უფროსი ინჟინერი.

22. **ჯანელიძე** ლეონტი ერმილეს-ძე — მატა-რებლის შემდგენელი.

23. **ჯოჯუა** შალვა ფილიპეს-ძე — მატარებ-ლის ვაგონის ოსტატი.

24. **ჯორბენაძე** გიორგი რომანის-ძე — სად-გურის უფროსის მოადგილე.

25. **ძიძიგური** ნიკოლოზ ივანეს-ძე — მატა-რებლის კონტროლიორ-რევიზორი.

26. **დუიშვილი** საბა აბალის-ძე — სალიანდა-გო დისტანციის უფროსის მოადგილე.

27. **დუნდუა** მიხეილ შალვას-ძე — განყოფი-ლების უფროსი.

28. **დიაჩენკო** ალექსანდრე ვლასის-ძე — სა-ლიანდაგო დისტანციის ბრიგადირი.

29. **ზაქარეიშვილი** უშანგი დომენტის-ძე — მატარებლის ვაგონის ოსტატი.

30. **ინჯგია** ბორის ტარიელის-ძე — სავაგო-ნო დეპოს ოსტატი.

31. **ინჩქეტიძე** ნიკოლოზ ილარიონის-ძე — დეპოს მემანქანე.

32. **ქავთარაძე** ქიშვარდი ნიკოლოზის-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

33. **კალაძე** რეზო დავითის-ძე — მატარებ-ლის ვაგონის ოსტატი.

34. **ქამუშაძე** პავლე ირაკლის-ძე — ხიდის ოსტატი.

35. **კაპანაძე** ეგნატე ალექსანდრეს-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.

36. **კაპანაძე** ზურაბ ვლადიმერის-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

37. **კაპანაძე** ოთარ კონსტანტინეს-ძე — დეპოს მემანქანე.

38. **კაჭარავა** შიო კლემენტის-ძე — სადგურის უფროსი.

39. **კვაჭანტირაძე** ვლადიმერ გერასიმეს-ძე — მატარებლის ვაგონის ოსტატი.

40. **კვინიკაძე** დავით რაჟდენის-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს უფროსის მოადგილე.

41. **კვინიკაძე** კარლო სევერიანეს-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

42. **ქემოკლიძე** გიორგი ნიკიფორეს-ძე — დე-პოს მემანქანე.

43. **კირკიტაძე** სერგი ილიას-ძე — დეპოს მე-მანქანე.

44. **კლდიაშვილი** მიხეილ თევდორეს-ძე — მატარებლის ვაგონის ოსტატი.

45. **კოპალეიშვილი** ბორის კონსტანტინეს-ძე — განყოფილების ინჟინერი.

46. **კოპალეიშვილი** დმიტრი აკაკის-ძე — მა-ტარებლის ვაგონის ოსტატი.

47. **ქორიძე** სერგი ნიზარბეკის-ძე — ლიანდა-გის შემომვლელი.

48. **კოხრეიძე** მიხეილ სიმონის-ძე — სალიან-დაგო დისტანციის ბრიგადირი.

49. **ქოჩეჩაშვილი** ფრიდონ შალვას-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

50. **ყოჩიაშვილი** დიმიტრი კონსტანტინეს-ძე — სალიანდაგო დისტანციის ბრიგადირი.

51. **კუკულაძე** კონსტანტინე ესტატეს-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

52. **კუნკულია** მიხეილ იოსების-ძე — მატა-რებლის ვაგონის ოსტატი.

53. **კუპრავა** ლეონტი მაქსიმეს-ძე — სადგუ-რის მორიგე.

54. **ლაცაბიძე** ნიკოლოზ ივანეს-ძე — დეპოს მემანქანე.

55. **ლილუაშვილი** შოთა ფილიპეს-ძე — დე-პოს მემანქანე.

56. **ლოჩიაშვილი** შალვა ალექსის-ძე — სავა-გონო დეპოს ოსტატი.

57. **მიგინეიშვილი** შოთა სერაპონის-ძე — მა-ტარებლის ვაგონის ოსტატი.

58. **მიქაძე** თევდორე ბესარიონის-ძე — მა-ტარებლის ვაგონის ოსტატი.

59. **მოდებაძე** ვიქტორ ალექსანდრეს-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.

60. **მოდებაძე** გიორგი პორფილეს-ძე — სა-ლიანდაგო დისტანციის ბრიგადირი.

61. **მოდებაძე** პავლე დმიტრის-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

62. **მუჭელიშვილი** ვახტანგ ისაკის-ძე — მატა-რებლის კონტროლიორ-რევიზორი.

63. **ნანიტაშვილი** ჭიჭიკო ამბროსის-ძე — კავ-შირგაბმულობის დისტანციის ელექტრომექანი-კოსი.

64. **ნაუმოვა** ეკატერინე რომანის ასული — ხიდის დარაჯი.

65. **ნიკაბაძე** ვლასი გიორგის-ძე — მატარებ-ლის ვაგონის ოსტატი.

66. **ნიკაბაძე** გრიგოლ ნიკიფორეს-ძე — სად-გურის მორიგე.

67. **ნიკურაძე** იპოლიტე თევდორეს-ძე — სად-გურის დისპეტჩერი.

68. **ოსაძე** ოთარ თევდორეს-ძე — დეპოს მემანქანე.

69. **ფარჯანაძე** ნიკოლოზ მარკოზის-ძე — განყ-ოფილების უფროსი.

70. **ფარცვანია** მიხეილ სარდიონის-ძე — დე-პოს მემანქანე.

71. **ფაჩულია** კაპიტონ ალექსანდრეს-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.

72. **ფერაძე** აბესალომ სინიფორეს-ძე — მა-ტარებლის ვაგონის ოსტატი.

73. **ფერაძე** ვახტანგ მიხეილის-ძე — მატა-რებლის ვაგონის ოსტატი.

74. **პუპინინი** გიორგი გაბრიელის-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

75. **ფხაკაძე** გედეონ ივანეს-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.

76. **ფხაკაძე** ლეონიდე ნოეს-ძე — სალიანდა-გო დისტანციის ბრიგადირი.

77. **რუხაძე** დავით პორფილეს-ძე — მეისრე.

78. **საყვარელიძე** ბესარიონ გრიგოლის-ძე — სალიანდაგო დისტანციის ბრიგადირი.

79. **სიჭინავა** შალვა კონსტანტინეს-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.

80. **სოფმავა** პორფილე იონას-ძე — განყოფი-ლების დისპეტჩერი.

81. **თვალიაშვილი** ალექსანდრე იოსების-ძე — დეპოს მემანქანე.

82. **ტოვაშვილი** გიორგი შიოს-ძე — ლიანდა-გის შემომვლელი.

83. **ტყემალაძე** ნიკოლოზ ბესარიონის-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.

84. **თურქია** შოთა ბაგრატის-ძე — კავშირ-გაბმულობის დისტანციის ელექტრომექანიკოსი.

85. **თუთბერიძე** გიორგი ანდრიას-ძე — დე-პოს მემანქანე.

86. **უგულავა** შალვა რაჟდენის-ძე — მეისრე.

87. **უნგიაძე** ამირან ერმილეს-ძე — მატარებ-ლის ვაგონის ოსტატი.

88. **ხაჯალია** ალექსანდრე ვიქტორის-ძე — სავაგონო დეპოს ოსტატი.

89. **ხაჟალია** გრიგოლ ნოეს-ძე — ოსტატთა ბრიგადის უფროსი.

90. **ხაჟალია** სერგი ვლადიმერის-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

91. **ხარაბაძე** მიხეილ ვლადიმერის-ძე — კავ-შირგაბმულობის დისტანციის უფროსი ელექ-ტრომექანიკოსი.

92. **ხარატიშვილი** დიმიტრი მინაგოს-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

93. **ხვადაგიანი** ავთანდილ დავითის-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

94. **ხუსკივაძე** სოლომონ ანდრიას-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

95. **წიკარიშვილი** ვსევოლოდ პავლეს-ძე — საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

96. **ცნობილაძე** ლევან შალვას-ძე — მატარე-ბლის ვაგონის ოსტატი.

97. **წულაძე** კუკური პროკოფის-ძე — დეპოს მემანქანე.

98. **წულაია** ივანე მიხეილის-ძე — განყოფი-ლების დისპეტჩერი.

99. **წულაია** ოლიფანტე ლუკას-ძე — დეპოს მემანქანე.

100. **ცხადაძე** შოთა ალექსანდრეს-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

101. **ჩაკუა** კონდრატი მირონის-ძე — ლიან-დაგის შემომვლელი.

102. **ჩიკობავა** კონდრატი ბეგლარის-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.

103. **ჩინჩალაძე** სერგი ვასილის-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

104. **ჭყონია** ლავრენტი ამირანის-ძე — მატა-რებლის ვაგონის ოსტატი.

105. **ჭუმბურიძე** ერმიგონ იაკობის-ძე — ლიანდაგის შემომვლელი.

106. **შენგელია** გრიგოლ გერმანეს-ძე — სა-ორთქლმავლო დეპოს მემანქანე.

107. **შენგელია** მიხეილ გიორგის-ძე — სავა-გონო დეპოს უფროსი.

108. **შენგელია** სევერიანე გიორგის-ძე — მა-ტარებლის ვაგონის ოსტატი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი, 1953 წ. 1 აგვისტო.

*) დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 224, 227.

აგრონომის რჩევა-დარიგება

კარტოფილის დარგვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი და მისი ეკონომიური მნიშვნელობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა თავის დადგენილებაში „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ აღნიშნა, რომ კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში მთავარი ამოცანაა ამ კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდება კარტოფილისა და ბოსტნეულის მოყვანაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვისა და მოწინავე აგროხერხების გამოყენების საფუძველზე.

დასახულია ამოცანა უახლოეს ორსამ წელიწადში კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება აყვანილ იქნას ისეთ ოდენობამდე, რაც სავსებით დააკმაყოფილებს არა მარტო ქალაქების, სამრეწველო ცენტრების, გადამმუშავებელი მრეწველობის მოთხოვნილებას, არამედ მეცხოველეობის საჭიროებასაც კარტოფილზე.

კარტოფილის მოყვანის მექანიზაციის საკითხი უწინარეს ყოვლისა მისი თესვის წესის საკითხია. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღნიშნა, რომ მექანიზაციის პრობლემას ჩვენ ვერ გადავწყვეტთ, თუ არ შემოვიღეთ კარტოფილისა და ბოსტნეულის თესვის უფრო პროგრესული წესი, რომელიც საშუალებას მოგვცემს მთლიანად მოვახდინოთ მწკრივთა შორის დამუშავების მექანიზაცია. გვაქვს თუ არა ასეთი წესი? დიახ, გვაქვს. ეს არის კვადრატულ-ბუდობრივი წესი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამოცანად დასახა რგვის კვადრატულ-ბუდობრივი წესის ფართოდ დანერგვა.

რაში მდგომარეობს კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი წესით რგვის ხერხი? იმაში, რომ მზრალად მოხნული, კარგად დამუშავებული და მოსწორებული ნაკვეთი მარკერის ან კულტივატორის საშუალებით დაიყოფა სწორკუთხოვან კვადრატებად. ხაზების ჯვარედინზე — თვითეული ბუდნაში ირგვება ორი-სამი ტუბერი. ბუდნებს შორის მანძილი 70 სანტიმეტრია. თვითეულ ჰექტარზე კეთდება 20.500 ბუდნა. ბუდნაში 2 ტუბერის დარგვის შემთხვევაში ჰექტარზე თავსდება 41 ათასი ტუბერი.

რა არის კვადრატულ-ბუდობრივი წესის ღირსება? ის, რომ იგი საშუალებას იძლევა განვახორციელოთ ნათესების გარდიგარდმო, ორმხრივი მექანიზებული დამუშავება, მკვეთრად შევამციროთ ნათესების მოვლაზე ხელის შრომა. ამასთან იქმნება საუკეთესო პირობები მცენარის განვითარებისათვის, მაშასადამე, უხვი მოსავლის მიღებისათვის.

ჩვენი დიადი ქვეყნის კოლმეურნეობებმა მაღალი შეფასება მისცეს კარტოფილის რგვის კვადრატულ-ბუდობრივი წესის უპირატესობას. ამ პროგრესული ხერხის მასობრივად გამოყენების ინიციატორები არიან მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობები. 1953 წელს ოლქში კვადრატულ-ბუდობრივი წესით დარგული იყო 85 ათასი ჰექტარი ანუ კოლმეურნეობებში დარგული კარტოფილის მთელი ფართობის ორი მესამედი.

კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი წესით დარგვა წარმოებს სპეციალური (ოთხმწკრივიანი) მანქანით „სკგ-4“. კვადრატულ-ბუდობრივი წესით დარგვა ხდება აგრეთვე ტრაქტორის კულტივატორით, ტრაქტორისა და ცხენის გუთნებით.

მეცნიერებისა და პრაქტიკის მონაცემებით დამტკიცებულია, რომ აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნათესების დროულად და მაღალხარისხოვნად დამუშავებას. მოწინავე მეკარტოფილეები ყოველთვის ცდილობენ, რომ ნიადაგი იყოს სუფთა და ფხვიერ მდგომარეობაში, ისინი მათთვის მოსავლელად მიჩენილ ნაკვეთებს სამჯერ-ოთხჯერ და ზოგჯერ მეტჯერაც ამუშავებენ.

ამ წესით კარტოფილის დარგვისას მცენარის მთელი ზრდა-განვითარების განმავლობაში დროულად შეიძლება მოეწყოს ნათესების მექანიზებული დამუშავება, რის შედეგად კარტოფილის მოსავლიანობა საგრძნობლად იზრდება.

კვადრატულ-ბუდობრივი რგვის წესის დანერგვა დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა. ამ ხერხის ფართოდ დანერგვით კოლმეურნეობები იღებენ უხვ და მყარ მოსავალს დიდ ფართობებზე და მკვეთრად ამცირებენ შრომის დანახარჯს ამ კულტურის მოყვანის საქმეში. კვადრატულ-ბუდობრივი რგვის წესის ფართოდ გამოყენების საქმეში შესანიშნავი გამოცდილება აქვს მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის კოლმეურნეობას „წინ კომუნიზმისაკენ“. 1953 წელს ამ კოლმეურნეობამ თითქმის მთელ ფართობზე კარტოფილი დათესა კვადრატულ-ბუდობრივი წესით. კოლმეურნეობაში ოთხ მწკრივად სათესი მანქანით კვადრატულ-ბუდობრივი წესით ერთი ჰექტარის თესვას დასჭირდა ერთი კაც-დღე, ორი მიმართულებით კარტოფილის სამ მწკრივთა შორის ტრაქტორით დამუშავებას კი მხოლოდ 0,6 კაც-დღე ჰექტარზე. ამრიგად, კვადრატულ-ბუდობრივი წესით კარტოფილის თესვისა და დამუშავების დროს ერთ ჰექტარზე



ბუდნების განლაგება კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი წესით რგვის დროს.

★

დახარჯულია მხოლოდ 1,6 კაც-დღე, მაშინ როცა მწკრივად თესვის დროს ამავე სამუშაოებზე იხარჯება 30 კაც-დღეზე მეტი. კვადრატულ-ბუდობრივი წესით კარტოფილის მოყვანის დროს დახარჯული ერთ კაც-დღეზე კოლმეურნეობამ მიიღო 23 ცენტნერი კარტოფილი, ჩვეულებრივი წესით დამუშავებისას კი — მხოლოდ ერთნახევარი ცენტნერი.

საინტერესოა აგრეთვე მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მიღწევები კარტოფილის მოსავლის გადიდებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში. აქ კვადრატულ-ბუდობრივი წესით დარგულმა კარტოფილმა ერთი ჰექტარის მოვლისას მოგვცა 9,1 კაც-დღის ეკონომია ჩვეულებრივი წესით დარგული კარტოფილის მოვლასთან შედარებით.

შრომის ნაყოფიერება უფრო თვალსაჩინო იქნება, როცა კარტოფილის სარგავ მანქანას სრული დატვირთვით გამოვიყენებთ. ეს მოითხოვს კვალიფიციურ კადრებს. მაგალითად, მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზაში“ მემანქანე ამხ. აკიმფეევმა ოთხ მწკრივად კარტოფილის სარგავი მანქანის დღიური გამომუშავება აიყვანა 12,4 ჰექტარამდე, ნორმა კი 8 ჰექტარია. მოსკოვის ოლქის ბრონიცის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში მემანქანე ამხ. რედკინმა ოთხ მწკრივად სათესი მანქანის გამომუშავება აიყვანა ცვლაში 10-11 ჰექტარამდე.

კარტოფილის მეურნეობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ დაყენებული ცდებით დამტკიცებულია, რომ მოსკოვის ოლქის 15 მტლის ზონის კოლმეურნეობებში „სკგ-4“ კარტოფილის სარგავი მანქანის დღიური წარმადობა 8-12 კოლმეურნის მომსახურების პირობებში 8-12 ჰექტარს აღწევდა.

გამორკვეულია, რომ კვადრატულ-ბუდობრივი წესით დარგვისას, რომელიც საშუალებას იძლევა მთლიანად მოხდეს კარტოფილის მოყვანის მექანიზაცია, სულ დარგვაზე, მოვლაზე და მოსავლის აღებაზე იხარჯება ჰექტარზე 3,1 კაც-დღე.

როგორც აღვნიშნეთ, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებმა წელს კვადრატულ-ბუდობრივი წესით დარგეს 85 ათასი ჰექტარი კარტოფილი, ამასთან მიაღწიეს 2 მილიონ კაც-დღეზე მეტ ეკონომიას. ამ წესის დანერგვით მნიშვნელოვნად უმჯობესდება რგვის ხარისხი და კარტოფილის დამუშავება, დიდდება მისი მოსავლიანობა. მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილება მოწმობს, რომ კვადრატულ-ბუდობრივი წესით დარგული კარტოფილი ორჯერ მეტ მოსავალს იძლევა.

კარტოფილის მოყვანის საქმეში მექანიზაციის ფართოდ დანერგვას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში. კარტოფილის ნათესების დამუშავება ემთხვევა ისეთ გადაუდებელ სამუშაოებს, როგორიც არის თავთავიანი კულტურების გამარგვლა, თივის აღება, სათოხნი კულტურების მოვლა. ამ პერიოდში მუშახელზე დიდი მოთხოვნილებაა, ხშირ შემთხვევაში შრომითი რესურსების არასწორად გამოყენების შედეგად ფერხდება კარტოფილის ნათესების დამუშავება, რაც იწვევს მოსავლიანობის შემცირებას. კვადრატულ-ბუდობრივი წესი ამ მდგომარეობის თავიდან აცილების მთავარი ღონისძიებაა.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობები 1954 წელს მიიღებენ კარტოფილის სარგავ მანქანებს „სკგ-4“.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ ამთავითვე უნდა იზრუნოს სათანადო მექანიზატორთა კადრების მოსამზადებლად. სარგავი აგრეგატის მომსახურება უნდა მიენდოთ კარგად მომზადებულ მექანიზატორებსა და კოლმეურნეებს. აუცილებელია თვითეულმა მტს-მა და კოლმეურნეობამ ზამთარი გამოიყენოს სარგავი მანქანების კადრებით დასაკომპლექტებლად. ამთავითვე შეარჩიონ ყველაზე კვალიფიციური მუშაკები — კომბაინერები, რომლებიც საუკეთესოდ დაეუფლებიან რთული მანქანის მართვას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია: „უზრუნველყოფილ იქნას 1954 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილის, პამიდორისა და კომბოსტოს თესვა, როგორც წესი, კვადრატულ-ბუდობრივი და კვადრატული ხერხით“. ამ დავალების შესრულებას ამთავითვე უნდა შევუდგეთ. საჭიროა გამოვყოთ მანქანებით თესვისათვის შესაფერი ნაკვეთები, შევიტანოთ შიგ ადგილობრივი სასუქები და მოვხნათ მზრალად 25-27 სანტიმეტრ სიღრმეზე.

საბჭოთა კავშირის მრეწველობა ახლა მკვეთრად ადიდებს კარტოფილის სარგავი მანქანების გამოშვებას, მაგრამ ისინი არ გვყოფნის. მოგვიხდება კარტოფილის თესვა ტრაქტორის კულტივატორების და გუთნების გამოყენებით, მაგრამ აუცილებლივ კვადრატულ-ბუდობრივი წესით. საჭიროა დაუგვიანებლად განვსაზღვროთ, თუ რა იარაღით მოგვიხდება ამა თუ იმ ნაკვეთზე კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი წესით დარგვა და ამთავითვე შევუდგეთ სათანადო მზადებას.

მანქანების მაღალნაყოფიერი გამოყენება, რგვის კვადრატულ-ბუდობრივი წესის ფართოდ დანერგვა და დამუშავების სრული მექანიზაცია კარტოფილის მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლების მთავარი პირობაა.

ვ. კოპინაშვილი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს კარტოფილისა და მებოსტნეობის სამმართველოს მთავარი აგრონომი.



კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი წესით რგვა „სკგ-4“ ხარგავი მანქანით. ფოტო პ. პერეპელიუკისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ქრონიკა

პარტორგანიზაციის მდივნის ანგარიში რაიკომის ბიუროზე

თბილისი. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომის ბიუროს განიხილა სოფელ მაგრანეთის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივნის ვ. ნადირაშვილის ანგარიში.

აღინიშნა, რომ პარტორგანიზაციას მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს. პარტბიუროს სუსტად იბრძვის მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისათვის, არ ამოწმებს მათ შესრულებას. ამის შედეგად ბევრი გადაწყვეტილება მხოლოდ ქაღალდზე რჩება.

პარტბიუროს ჯეროვან ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევს კომკავშირის ორგანიზაციას. იშვიათად იწვევენ კომკავშირულ კრებებს, ახალგაზრდობის ერთი ნაწილი საკოლმეურნეო შრომაში არ მონაწილეობს, ჩაშლილია სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა.

პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული საქმიანობის არადამაკმაყოფილებლად დაყენების შედეგად კოლმეურნეობაში სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგები, განსაკუთრებით კი მეცხოველეობა, ჩამორჩენილია.

რაიკომის ბიუროს დასახა ღონისძიებანი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

პარტორგანიზაციების მდივნებისა და აგიტპატრონთა სემინარი

ოზნი. („კომუნისტის“ კორ.). საქართველოს კომპარტიის ონის რაიკომში მოეწყო პარტორგანიზაციების მდივნებისა და აგიტატორთა სემინარი. მოხსენება — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შედეგები და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში“ გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. შ. რეხვიაშვილმა.

სემინარის მონაწილეებს მიეცათ დაწვრილებითი ახსნა-განმარტება, თუ როგორ დარაზმონ სოფლის მშრომელები პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

კვების მრეწველობის მოწინავე საწარმო

მიმდინარე წლის მეორე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით სამტრესტის კონიაკ-არყის თბილისის მეოთხე ქარხანამ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვა. ქარხნის კოლექტივს მიენიჭა საკავშირო პროფსაბჭოს და მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში

ოსი მწერალი დავით ჯიოევი

დავით ჯიოევი.

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოსცა მოწინავე ოსი მწერლის დ. ჯიოევის ახალი ლექსებისა და პოემების კრებული. ქართველ მკითხველს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს საინტერესო მწერალს, რომელიც ავტორია რამდენიმე წიგნისა და ცნობილი რომანისა „ილიკო“. კრებულში ბევრი ამაღელვებელი, გულთბილი ლექსია შეტანილი. პირველ სიტყვას მწერალი პარტიას უძღვნის:

„ეს შენ მომეცი, პარტიავ,
ასე ნათელი მიზანი,
შენ მყავხარ, როგორც მშობელი,
მარადჟამს დასაფიცარი“.

საინტერესო ბიოგრაფია აქვს ამ ნიჭიერ მწერალს. უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დროს იგი ავტომანქანის ავარიაში მოჰყვა და უბედურმა შემთხვევამ სამუდამოდ მიაჯაჭვა ლოგინს. მან ხელი მოჰკიდა წერას და მოკლე ხანში ერთგვარ წარმატებებს მიაღწია...

ცამეტი წელი გავიდა, რაც სარეცელზე მიკრულია დავით ჯიოევი. კომკავშირში აღზრდილი, კომუნისტური პარტიის წევრი — საკაცით დაჰყავთ პარტიულ კონფერენციაზე, თეატრში, მკითხველებთან შეხვედრაზე, ახალმშენებლობაზე... და ადამიანი დიდი ლაშქრობის მონაწილე ხდება. თაროზე მოჩანს მისი ახალი წიგნები.

მწერლის ბინაზე (იგი სტალინირში ცხოვრობს) ხშირად იკრიბებიან მწერლები, მკითხველები.

ისინი დაუფარავად გამოთქვამენ აღტაცებას დავით ჯიოევის ადამიანური გამარჯვების გამო. იგი იღიმება და ყოველთვის იგონებს ნიკოლოზ ოსტროვსკის. ამას წინათ ბორის პოლევოის „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“ გაიხსენა — ეს ჩემი საყვარელი წიგნია, — თქვა მან. განმარტება რაღა საჭირო იყო.

შარშან და წელს დავითი სოჭში ისვენებდა... ადვილი მისახვედრია, რატომ შეიყვარა მან სოჭი — იქ ხომ ნიკოლოზ ოსტროვსკის სახლ-მუზეუმია. მუზეუმის მუშაკებთან სისტემატური მიწერ-მოწერა აქვს დავითს.

— როცა ოსტროვსკის სახლში ვარ, — გვითხრა დავითმა სოჭიდან დაბრუნების შემდეგ, — მგონია საკუთარი ღვიძლი ადამიანის თბილ ოჯახში მოვხვდი.

სტალინირის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო დავით ჯიოევის რომანის „ილიკოს“ განხილვა. მწერალი საკაცით მოიყვანეს განხილვაზე. იგი დარბაზში იწვა და ისმენდა მკითხველთა მსჯელობას. ორატორთა სიტყვები რომანის ქებას წარმოადგენდა, ისინი ლაპარაკობდნენ ავტორზე... დავით ჯიოევმა რამდენიმე ორატორის გამოსვლის შემდეგ შენიშვნა გააკეთა:

— ამხანაგებო, დაივიწყეთ, რომ რომანი დაწერა დავრდომილმა კაცმა, შეაფასეთ იგი კრიტიკულად. ჩემი მდგომარეობის გამო მას შეღავათს ნუ მისცემთ, მე უფრო კმაყოფილი და მადლიერი ვიქნები...

თვითკრიტიკული მიდგომა საკუთარი შემოქმედებითი მუშაობისადმი მეტ სიძლიერეს მატებს მწერლის სიტყვას.

უკანასკნელ ხანებში დავით ჯიოევმა თავისი ისტორიული რომანის „ილიკოს“ მიხედვით დაწერა პიესა, რომელიც წარმატებით იდგმება კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრში.

ამჟამად მწერალი მუშაობს ახალ რომანზე „უძლეველი ძალა“.

სამშობლოს სადიდებლად შრომობს გამარჯვებული ადამიანი, რომლის საოცარი ნებისყოფა გამოაქანდაკა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ.

ვ. ბელაშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მხცოვანი მუსიკოსის იუბილე

ხაშური. (საკ. კორ.). ვასილ ბოგოსლავსკის შეუსრულდა მუსიკის დარგში ნაყოფიერი მუშაობის 60 წელი, აქედან 50 წელი ხაშურში გაატარა. ამჟამად იგი ნაყოფიერად მუშაობს ხაშურის კულტურის სახლში. თავისი მუშაობის პერიოდში მან ჩამოაყალიბა რამდენიმე საორკესტრო ჯგუფი და შექმნა მუსიკალური ნაწარმოებები.

ამ დღეებში რკინიგზის კულტურის სახლში ხაშურის საზოგადოებრიობამ ვასილ ბოგოსლავსკის გადაუხადა მოღვაწეობის 60 წლის იუბილე.

ფრიდრიხ ვოლფი

რუსი ხალხ

მიყვარს რუსი ხალხის სახე, უბრალო და კეთილი,
გონებიდან არ გამოდის, გულში ფესვი გაიდგა. —
მასში ვიცან, ვინც დაიხსნა ხალხი მრავალქენჯნილი,
ვინც შეაღო შვების კარი, მარად გადაკეტილი,
მძლე მარჯვენით ააყვავა უდაბნო და ტაიგა.

მიყვარს შენი შემოდგომა, შენი მზე და ზამთარი,
შენი ველი მობიბინე, შენი მიწა დიადი,
შენი მხარე, მოჩახჩახე მზის სხივებში გამდნარი,
შენი გული, სიცოცხლისა და სიმართლის ლამპარი,
რომ დაშრიტა სიკვდილი და გაანათა წყვდიადი.

მიყვარს შენი ქვეყნის ღვინო, მოჩუხჩუხე მაჭარი,
შენი თაფლი, ფიჭის თაფლი, ოქროდ ჩალაგებული,
შენი სული, ხასიათი, ზოგჯერ სევდით ნაბზარი,
ხანაც ისევ გიჟმაჟი და ვარდებგადანაყარი,
როგორც გული ჭაბუკისა, ახლად შეყვარებული.
პატივსა ვცემ შენს სიმღერებს, ხალხის ენამზეობას,
უბრალოს და გრძნობით სავსეს, გულში ცეცხლს
რომ აგინთებს.

მიყვარს დიდი რუსი ხალხი—მასში ვხედავ შეგობარს—
მიყვარს მისი გაქანებაც, ვაჟკაცური მხნეობაც,
და მამაცი მისი სულის სილამაზეს ვადიდებ.

მჯერა, მის გულს ვერ შეარყევს, საფრთხეა თუ დარდია,
ხიფათში ქედს არ იხრიდა, არც მოიხრის არასდროს.
უდრეკობა მის უძლეველ მკერდში ლამპრად ანთია,
მშობლიური დროშით ხელში წინ მიუძღვის პარტია,
წმიდა დროშა ალისფერი, დაე, ყველგან აღმართოს!

ეს სისხლია, ეს ფერია, დღეს რომ ხმელეთს ანათებს,
ძალას გვმატებს — და ეს ხალხი ჭაბუკ დევგმირს
მიაგავს.
შენც ეს სისხლი გიდუღს, ძმაო, შენც და სხვა
ამხანაგებს,
ჩემს გულსაც ხომ ის აღელვებს, ამაგრებს და განაგებს,
ჩქეფს, სიცოცხლეს მიზანს აძლევს, როგორც სხივთა
ნიაღვარს.

გერმანულიდან თარგმნა ა. ჭკადუამ.

ერნსტ ფიშერი

სიმღერა მშვიდობაზე

იელვა, სადღაც გავარდა მეხი
და მოგვაგონდა წუთით ატომი...
ქარი როდია ომის ამტეხი,
ეს ბიზნესმენებს სწყურიათ ომი.
წვიმა დაცხრება, ქარი ჩადგება,
სხივი შეიერცხლავს ტყეს და კაბადონს,
ომის ნისლი კი არ იფანტება,
იგი ხალხებმა უნდა გაფანტონ.

მშვიდობა გვინდა — ხალხი გვავალებს
კვლავ არ დავუშვათ ომის ხანძარი!
რა ედარდებათ ვერაგ მტარვალებს,
თუნდაც დაიქცეს ყოფნის ტაძარი,
თუ ოქროთი აქვთ გზა მოფენილი!
თუ ნგრევას მოსდევს მათი მოგება!
თუმცა ბოროტსა სჭარბობს კეთილი,
ბოროტი თავად როდი მოკვდება!

იცოცხლოს ბავშვმა, თუ კვლავ მოევლოს
შავი არშია მშობლის ჭაღარას, —
დღეს გადაწყვიტე, დედავ მშობელო,
ვიდრე აკვანში სძინავს პატარას.
როცა ომს ვეტყვით ყველანი: კმარა! —
მე, შენ და იგი, მეცხრე, მეასე, —
ქვეყნად მშვიდობა იქნება მარად
და იგიზგიზებს ცეცხლი კერაზე.

მშვიდობის მცველნო! ყოველი ქვეყნის
მილიონები თქვენთან მოდიან.
მშვიდობას ცაში არ ჰედენ ჩვენთვის,
ხალხის სურვილი ომი როდია!
ომს შეუკარით ჭანგი მსახვრალი,
ჩამოგვაშორეთ ხარბი მტარვალი!
ხალხი სიცოცხლის ბურჯად და ფარად
გირჩევთ მშვიდობის მამაც დარაჯებს.
შეჯავშნულ მკვლელებს უთხარით: არა! —
თუ გსურთ მსოფლიო ხანძარს გადარჩეს.

გერმანულიდან თარგმნა ა. ჭკადუამ.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განმტკიცება

პრაღა, 6 ოქტომბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დელეგაციისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა, და აღნიშნავს, რომ 1953 წელს საქონელგაცვლა ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 25 პროცენტით გადიდდება 1952 წელთან შედარებით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ჩეხოსლოვაკიას აწვდის სამანქანო მოწყობილობას, ქიმიური მრეწველობის ნაწარმს, მინერალურ სასუქებს, მედიკამენტებს, ოპტიკურ ნაწარმს და სხვ.

ჩეხოსლოვაკიას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეაქვს კოქსი, მურა ქვანახშირი, სხვადასხვა ნედლეული, უმთავრესად კერამიკული მრეწველობისათვის, სამანქანო მოწყობილობა, ნახევარფაბრიკატები, მსუბუქი და კვების მრეწველობის ნაწარმი, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

1953 წელს ხელმოწერილი გრძელვადიანი კულტურული შეთანხმების საფუძველზე მტკიცდება ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურული ურთიერთობა.

ამჟამად ჩეხოსლოვაკიაში ამყოფება გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების სამღერისა და ცეკვის ანსამბლი. ანსამბლის კონცერტებს დიდი წარმატება აქვს ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა შორის.

ჩეხოსლოვაკიაში დიდი ტირაჟებით გამოდის გერმანელ კლასიკოსთა და თანამედროვე გერმანელ მწერალთა წიგნები. ჩეხოსლოვაკიის თეატრებში ხშირად იდგმება გერმანელ ავტორთა პიესები. ეკრანებზე წარმატებით უჩვენებენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შექმნილ ფილმებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოთხი წლისთავი

ვილჰელმ პიკის სტატია

ბერლინი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს გაზეთებმა გამოაქვეყნეს ვილჰელმ პიკის სტატია, რომელიც მიძღვნილია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მე-4 წლისთავისადმი.

ოთხი წლის წინათ, ნათქვამია სტატიაში, საბჭოთა მთავრობამ მართვა-გამგეობის ფუნქციები, რომლებიც მას ეკუთვნოდა როგორც მოკუპირებელი სახელმწიფოს მთავრობას, გადასცა გერმანულ ორგანოებს, და მთელი ხალხის მიერ არჩეულმა გერმანიის სახალხო საბჭომ გადაწყვიტა ძალაში შეეყვანა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია — ეს იყო პირველი ნამდვილად მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიის სახელმწიფოს დაბადება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა პრინციპულად განსხვავდება ყველა სახელმწიფოსაგან, რომელიც კი გერმანელი ხალხის ისტორიაში ყოფილა. იგი გერმანიის პირველი სახელმწიფოა, რომელშიც მუშათა კლასს გადამწყვეტი პოზიციები აქვს და მშრომელ გლეხობასა და მშრომელ ინტელიგენციასთან შეკავშირებული ახორციელებს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების მშენებლობას.

გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავის ფარგლებში შექმნა გარანტიები გერმანიის აგრესიული იმპერიალიზმის აღორძინების წინააღმდეგ, ხოლო თავის ფარგლებს გარეთ ესწრაფვის ყველა ხალხთან ნამდვილ შეთანხმებასა და მშვიდობას. ამიტომ იგი ეწევა ბრძოლას ეროვნული გაერთიანებისათვის, სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადებისათვის, გერმანელი ხალხის ეროვნული ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხის ძირითადი ინტერესების სრული შესაბამისობით.

ჩვენი გერმანული სამშობლოს გათიშვისა და სრულიად გერმანიის შინაჭრობის უაღრესი დაკნინების შედეგად, რაც ამერიკის ბრძანებით განახორციელა აღენაუერის მთავრობამ, წერს ვ. პიკი, ჩვენ პირველ წლებში იძულებული გავხდით მთელი ჩვენი ძალები მრეწველობის ძირითადი დარგების განვითარებისათვის გამოგვეყენებინა.

ისეთი დიდი სამრეწველო ობიექტების მშენებლობა, როგორიც არის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატი, მეტალურგიული ქარხანა „ვესტი“ და მატიას რაკოშის სახელობის კოქსის ქარხანა, სხვა მეტალურგიულ და ქიმიურ საწარმოთა და მრავალი მანქანათმშენებელი ქარხნის აღდგენა და გაფართოება ჩვენი მუშების, ტექნიკოსებისა და მეცნიერების თვალსაჩინო მიღწევაა. უამისოდ ვერ აღვნიშნავდით იმ სასიხარულო ფაქტს, რომ ჩვენი რესპუბლიკის სამუალო თვიურმა სამრეწველო წარმოებამ 1953 წელს 1936 წლის საშუალო თვიური სამრეწველო წარმოების 164,4 პროცენტს მიაღწია.

სოფლის მეურნეობაში მოსავალმა ჰექტარზე ომამდელ დონეს მიაღწია, ხოლო მარცვლეულის მოსავალმა კიდევაც გადააჭარბა ამ დონეს. პირუტყვის სულადობა განუწყვეტლივ მატულობს. რესპუბლიკაში გაჩნდა წარმოების ისეთი სრულიად ახალი ფორმა, როგორიც არის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივები, რომლებიც მათი დაარსების ერთი წლის შემდეგ უკვე მთელი სახნავ-სათესი ფართობის 13 პროცენტს ამუშავებენ.

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარება მოითხოვს ბევრ ახალ ყოველმხრივ განათლებულ კადრებს. ამ მოთხოვნას შეესაბამება პროფესიული და სპეციალური სკოლების, უმაღლესი სკოლებისა და უნივერსიტეტების განვითარება, რომელთა კარებიც პირველად გაიღო მუშა და გლეხი ახალგაზრდობისათვის. მეცნიერულმა და კვლევითმა მუშაობამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა. რესპუბლიკაში ბევრი ახალი ინსტიტუტი გაიხსნა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე მუსიკისა და სახვითი ხელოვნების განვითარება და განსაკუთრებული ყურადღება, რაც ხალხურ ხელოვნებას ექცევა.

დასასრულ უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ღონისძიებანი, რომლებმაც გამოიწვიეს ჩვენი რესპუბლიკის მთელი სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციული აპარატის შემდგომი დემოკრატიზაცია, კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირეს იგი მოსახლეობას და, მეორე მხრივ, საშუალება მისცეს მოსახლეობას ყოველთვის და აქტიურად მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო, ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ამოცანების განხორციელებაში.

წარმატებითმა სამშენებლო მუშაობამ საშუალება მისცა ჩვენს რესპუბლიკას 1952 წლის ზაფხულში დაეწყო სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობა. მაგრამ ეკონომიკის, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის განვითარების მეტისმეტად ძლიერმა ტემპმა ერთგვარი სიძნელეები გამოიწვია, რომლებიც უნდა დაგვეძლია, რათა უზრუნველგვეყო ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი აღმავლობა. ამიტომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წინადადებით და ანტიფაშისტურ - დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების თანხმობით ამა წლის ივნისის დამდეგს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მთელ რიგ ღონისძიებათა შესახებ, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ახალ კურსს ჩვენს რესპუბლიკაში. მისი არსი ის არის, რომ უახლოეს ხანში სერიოზულად გაუმჯობესდება ეკონომიური მდგომარეობა და პოლიტიკური ვითარება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რათა ამ საფუძველზე მნიშვნელოვნად ავამაღლოთ მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ცხოვრების დონე.

ჩვენს რესპუბლიკაში ეკონომიური მდგომარეობისა და პოლიტიკური პირობების შემდგომი სწრაფი გაუმჯობესებისათვის შრომისა და ბრძოლის ამ პროგრამის განხორციელება საკუთარ მიღწევებთან ერთად ემყარება აგრეთვე დიდ და უანგარო დახმარებას, რასაც საბჭოთა კავშირი და სახალხო რესპუბლიკები გვიწევენ. პირველ რიგში აქ უნდა აღინიშნოს საბჭოთა კავშირის მთავრობასთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მოლაპარაკების შედეგები — რეპარაციების შეწყვეტა 1954 წლის 1 იანვრიდან, ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის საბჭოთა სააქციო საზოგადოებების საწარმოთა უსასყიდლოდ გადმოცემა, გერმანიაში საბჭოთა ჯარების შესანახავი ხარჯების შემცირება სახელმწიფო ბიუჯეტის 5 პროცენტამდე, ომისშემდგომი ყველა ვალის ლიკვიდაცია — ყველა ეს შემსუბუქება საშუალებას მოგცემს წინანდელზე უფრო სწრაფად და წარმატებით განავითაროთ ჩვენი სახალხო მეურნეობა მშრომელთა სასარგებლოდ. გარდა ამისა, კიდევ უნდა აღინიშნოს დიდი უშუალო დახმარება, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკა იღებს საბჭოთა კავშირისა და სახალხო რესპუბლიკებისაგან სურსათის, ქვანახშირის, ფოლადის ნაგლინის, ფერადი ლითონების, ტყავის, მატყლისა და სხვა სახეობათა ნედლეულის დამატებით მოწოდების სახით.

ამრიგად, ჩვენი მშრომელების მიღწევები და სოლიდარული მხარდაჭერა საბჭოთა კავშირისა და სახალხო რესპუბლიკების მხრივ იმის გარანტიას გვაძლევს, რომ ჩვენი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მისი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების მეოხებით მზარდი წარმატებით შეასრულებს აგრეთვე თავის სრულიად გერმანიის ამოცანას. თავისი დაარსების პირველი დღიდანვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა დგას გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის ბრძოლის მტკიცე ბაზაზე. ასრულებდა რა ამ ამოცანას, მან გასულ წლებში კიდევ უფრო გააძლიერა თავისი მნიშვნელობა.

დღეს თვითეული შეგნებული გერმანელისათვის და თვითეული მშვიდობისმოყვარე ადამიანისათვის გერმანიის მეზობელ ქვეყნებში სავსებით აშკარაა, რომ დასავლეთი გერმანია ომსმოწყურებულ რევანშისტ პოლიტიკოსთა ხელშია. ადენაუერის მთავრობა დასავლეთ გერმანიის აგრესიული იმპერიალიზმის მთავრობაა. ამავე დროს იგი ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური ბატონობისადმი დასავლეთ გერმანიის დამორჩილების მთავრობაა. ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებანი, რომლებსაც ადენაუერმა ხელი მოაწერა და რომელთა განხორციელებასაც იგი მთელი ძალღონით ესწრაფვის, გერმანიის ერთიანობის აღდგენისა და მთელ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების გადამწყვეტი დაბრკოლებაა. ისინი აღრმავებენ გერმანიის გათიშვას და დასავლეთ გერმანიისათვის მოაქვთ ის საფრთხე, რომ იგი გადაქცეულ იქნება ცეცხლისა და განადგურების ზონად. ამიტომ გერმანიის ერთიანობის აღდგენისა და მთელი გერმანელი ხალხის მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფისათვის ბრძოლა დასავლეთ გერმანიის იმ იმპერიალისტური და მილიტარისტული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაა, რომლებსაც ადენაუერი განასახიერებს. მაგრამ ობიექტური ფაქტების ეს აღნიშვნა იმას როდი მოასწავებს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა უარს ამბობს სრულიად გერმანიის შეთანხმების მიღწევაზე. პრეზიდენტის პოსტი რომ დავიკავე, მე ვთქვი:

„საქმე ის კი არ არის, ცნობენ თუ არა დასავლეთ გერმანიის ფედერალური მთავრობა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ერთმანეთს, არამედ ის, რომ ერთად ან ერთმანეთის გვერდით ვემსახუროთ გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს და ვაწარმოოთ ბრძოლა გერმანიის ერთიანობისათვის, საზავო ხელშეკრულებისა და გერმანელი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის“.

ეს განცხადება დღესაც ძალაში რჩება და ახლა კიდევ უფრო აქტუალური მნიშვნელობაც კი აქვს. საბჭოთა კავშირის მთავრობამ თავის 1953 წლის 28 სექტემბრის ნოტაში დასავლეთის სახელმწიფოებისადმი კვლავ წამოაყენა წინადადება — ყოველმხრივ შეისწავლონ გერმანიის პრობლემა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე და ამასთან განიხილონ შემდეგი საკითხები:

„1. საზავო კონფერენციის მოწვევა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხის განსახილველად;

2. სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის შექმნა და სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობა;

3. გერმანიის იმ ფინანსურ-ეკონომიურ ვალდებულებათა შემსუბუქება, რომლებიც დაკავშირებულია ომის შედეგებთან“.

საბჭოთა მთავრობა თავის ნოტაში მოითხოვს შეთანხმების მიღწევას იმის შესახებ, რომ მომავალ კონფერენციაზე გერმანიის პრობლემის განხილვა მოიცავდეს ყველა დიდმნიშვნელოვან საკითხს, ამასთან ამ განხილვაში მონაწილეობა უნდა მიიღონ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებმა.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა მთავრობის ეს წინადადებანი შეესაბამებიან გერმანელი ხალხის ძირითად ეროვნულ ინტერესებს. ამიტომ ეროვნული მოვალეობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყველა გერმანელისა, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა, ის არის, რომ ერთად ან ერთმანეთის გვერდით იბრძოლონ ამ წინადადებათა განხორციელებისათვის. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით, ჩემი როგორც პრეზიდენტის რწმუნებათა მოქმედების ამ უკანასკნელ დღეებშიც, მე შემიძლია განვაცხადო:

ჩვენ მტკიცედ ვიცავთ ჩვენს წინადადებას — მოვიწვიოთ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენელთა სრულიად გერმანიის თათბირი, რათა ერთად განვიხილოთ და განვახორციელოთ იმ საკითხების პრაქტიკული გადაწყვეტა, რომლებიც დაკავშირებულია გერმანიის გაერთიანებასთან დემოკრატიულ საფუძველზე და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების დაჩქარებასთან. ჩვენ კვლავ მოვითხოვთ სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის შექმნას, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს გერმანიასთან სამართლიანი საზავო ხელშეკრულების შემუშავებაში და დაიცვას გერმანელი ხალხის ძირითადი ეროვნული ინტერესები. სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობა შექმნის აგრეთვე პირობებს სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნებისათვის და უზრუნველყოფს ამ არჩევნების მოწყობას ნამდვილი თავისუფლების პირობებში, როცა გამორიცხულ უნდა იქნას უცხოეთის ყოველგვარი ჩარევა და ყოველგვარი ზეგავლენა მსხვილი კაპიტალისტური მონოპოლიების მხრივ.

ვესწრაფვით რა გერმანიის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას, ჩვენ არ შევასუსტებთ ჩვენს ღონისძიებებს, არამედ კიდევ უფრო მეტი ძალით და, ეჭვი არ არის, მზარდი წარმატებით ვიბრძოლებთ მისთვის. ჩვენ გვწამს ეს წარმატება, რადგან ახალი კურსის წარმატებით განხორციელება მთელ გერმანელ ხალხს მისცემს იმის დიდ დამაჯერებელ მაგალითს, რომ ნამდვილად დემოკრატიულ და მშვიდობისმოყვარე გერმანიის სახელმწიფოს ომის იმპერიალისტი გამჩაღებლებისა და იუნკერ-მილიტარისტების გარეშე შეუძლია უზრუნველყოს გერმანიის ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების ახალი აყვავება. ასეთი ერთიანი გერმანია თავისუფალი იქნება უცხოეთის ყოველგვარი ოკუპაციისაგან, რეპარაციებისა და მძიმე სამხედრო ვალებისაგან. იგი, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო, ყველა ხალხთან დაამყარებს ურთიერთობას სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე და აწარმოებს მათთან თავისი ეკონომიკისათვის საჭირო ვაჭრობას. ეს იქნება გერმანიის, როგორც თავისუფალი და დიდი ერის, აღორძინება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია

სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის სხდომა

ნიუ-იორკი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალურმა პოლიტიკურმა კომიტეტმა გუშინ დაიწყო თავისი დღის წესრიგის პირველი პუნქტის — გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების განხილვა.

დისკუსიის დაწყებამდე საბჭოთა დელეგაციამ გაავრცელა თავისი წინადადება 14 წევრის ერთდროულად მიღების შესახებ. როგორც ცნობილია, წარსულში შეერთებული შტატები ყოველნაირად უშლიდნენ ხელს საბჭოთა წინადადების მიღებას იმ საბაბით, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებიც მიღების შესახებ განცხადების შემტანი ქვეყნების რიცხვში შედიან, მიღებულ ვერ იქნებიან, რადგან ისინი თითქოს „არ არიან“ მშვიდობისმოყვარე ქვეყნები.

პერუს დელეგაციამ გაავრცელა თავისი წინადადება — შეიქმნას „კეთილი სამსახურის კომიტეტი“ სამი წევრის შემადგენლობით, რომელიც კონსულტაციას გაუწევს უშიშროების საბჭოს წევრებს იმ მიზნით, რომ გამოირკვეს, რამდენად შესაძლებელია მიღწეულ იქნას შეთანხმება, რომელიც „გააადვილებს იმ ახალი წევრების მიღებას, რომლებსაც აბისი უფლება აქვთ“.

კომიტეტის განსახილველად შეტანილია აგრეთვე მოხსენება ახალი წევრების მიღების საკითხის შემსწავლელი კომიტეტისა, რომელიც გენერალურმა ასამბლეამ 1952 წლის დეკემბერში შექმნა. ამ კომიტეტმა განიხილა სხვადასხვა წინადადება, რომლებიც დასახულია თითქოს ახალი წევრების მიღების საკითხში ჩიხის მოსასპობად. მაგრამ კომიტეტის მოხსენება არავითარ რეკომენდაციას არ შეიცავს.

საბერძნეთის წარმომადგენელი ტვირასი, რომლის გამოსვლით დაიწყო დისკუსია, ცდილობდა ახალი წევრების მიღების საკითხში შექმნილი ჩიხის ბრალი დაეკისრებინა საბჭოთა კავშირისათვის, რომელიც თითქოს „ბოროტად იყენებს ვეტოს უფლებას“. ამავე დროს საბერძნეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთელი რიგი წინადადებანი, რომლებიც ახალი წევრების მიღების საკითხის შემსწავლელ კომიტეტში შეტანილია უშიშროების საბჭოს ერთხმივობის პრინციპის გვერდის ავლით, მიუღებელია იმასთან დაკავშირებით, რომ ეს წესდებას ეწინააღმდეგება. თავისი სიტყვა მან იმით დაამთავრა, რომ მოიწონა პერუს წინადადება.

პერუს და ეგვიპტის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ მოწესრიგება მიღწეულ უნდა იქნას „უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს შორის პოლიტიკური შეთანხმების გზით“.

ბელგიის წარმომადგენელმა გაილაშქრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ყველა 14 სახელმწიფოს მიღების წინააღმდეგ, რადგან ეს თითქოს ეწინააღმდეგება წესდებას, და ამტკიცებდა, რომ თვითეული განცხადება ცალკე უნდა იქნას განხილული. არგენტინის დელეგატმა მხარი დაუჭირა პერუს წინადადებას.

შემდეგ გამოსულმა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა მალიკმა კომიტეტს მოაგონა, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს განცხადება, როგორც, მაგალითად, ალბანეთისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა, რომლებიც შედიან 14 სახელმწიფოს რიცხვში, რომელთა შესახებაც საბჭოთა კავშირი მოითხოვს ერთდროულად იქნან მიღებულნი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად დგას შვიდი წლის განმავლობაში. მალიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩიხის წარმოშობის ძირითადი მიზეზია ზოგიერთი სახელმწიფოს ცდა — გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღება დაუკავშიროს შინაპოლიტიკურ წყობილებას და, ამიგად, წესდების დარღვევით ავტომატურად არ დაუშვას სახალხო დემოკრატიის ქვეყნები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამაარსებლებმა ერთხმივობის პრინციპი გონივრულად გახადეს ორგანიზაციის ქვაკუთხედად, რათა თავიდან აეშორებინათ ორგანიზაციის გადაქცევა პოლიტიკურად თანამოაზრე სახელმწიფოთა კავშირად.

მალიკმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ უჭერდა მხარს წესდებას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის მომენტიდან ხმა მისცა ცხრა სახელმწიფოს მიღებას. მიუხედავად მათი შინაპოლიტიკური წყობილებისა და მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა მას დიპლომატიური ურთიერთობა განცხადების შემომტანქვეყნებთან. მალიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერთადერთი სამართლიანი მოწესრიგება იქნება 14 ქვეყნის ერთდროულად მიღება. როგორც საბჭოთა კავშირი მოითხოვს.

მალიკის გამოსვლის შემდეგ კომიტეტის სხდომა დაიხურა.

ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის 72 ოქტომბრის სხდომაზე დისკუსიაში დღის წესრიგის პირველ პუნქტზე — გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების შესახებ გამოვიდა საბჭოთა წარმომადგენელი ი. ა. მალიკი.

მან აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხს ან, უფრო ზუსტად, 14 სახელმწიფოს — ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ფინეთის, იტალიის, პორტუგალიის, ირლანდიის, ტრანსიორდანიის, ავსტრიის, ცეილონის, ნეპალისა და ლიბიის მიღების საკითხს უკვე თითქმის შვიდი წლის ხანდაზმულობა აქვს. მიზეზი, რომელიც ხელს უშლის ამ სახელმწიფოებს გახდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები და თავიანთი კანონიერი ადგილი დაიკავონ ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში, თქვა მალიკმა, ის არის, რომ დღემდე ყველას, ვისზედაც დამოკიდებულია ახალი წევრების მიღება, როდი ესმის, რომ საჭირო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დაცვა. ამ საკითხის გადაჭრისას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ზოგიერთი სახელმწიფო ისახავს ცალმხრივ, წესდების საწინააღმდეგო მიზნებს, ჰყოფს რა ყველა კანდიდატს „სასურველებად“ და „არასასურველებად“. სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე, სადაც 1945 წელს შემუშავებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, არც თვით წესდებაში, არც ამ საერთაშორისო ორგანიზაციის სხვა რომელიმე დოკუმენტში არავის არასოდეს არ გამოუთქვამს აზრი და არ ჩაუწერია დებულება, რომელიც ამბობდეს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არის ან უნდა იყოს ერთნაირი პოლიტიკური წყობილების, ერთნაირი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოთა ორგანიზაცია, ან რომ ეს საერთაშორისო ორგანიზაცია უნდა იყოს პოლიტიკურ თანამოაზრეთა კავშირი. ამავე დროს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ზოგიერთი სახელმწიფო სწორედ ასეთი საზომით უდგება ახალი წევრების მიღების საკითხს. ისინი ხმას აძლევენ მხოლოდ იმ სახელმწიფოების მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომელთა შინაპოლიტიკური წყობილება მათ მისაღებად მიაჩნიათ, და ეწინააღმდეგებიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიღებას, რომელთა შინაპოლიტიკური წყობილების მიმართ მათ უკავიათ არამეგობრული პოზიცია, მეტი რომ არა ვთქვათ.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს, როცა განიხილავენ მათს განცხადებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების შესახებ, უყენებენ მოთხოვნებს, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასთან, არც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებთან. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ მიღების პირობად მათ წაუყენეს მოთხოვნა შეცვალონ თავიანთი შინაპოლიტიკური, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება. საჭირო არ არის მოგაგონოთ, რომ ახალი წევრების მიღებისადმი ასეთ მიდგომას საერთო არა აქვს რა წესდებასთან და პირდაპირ ეწინააღმდეგება მე-2 მუხლის დებულებებს, რომლებითაც აკრძალულია სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამაარსებელი სახელმწიფოები, რომელთა შორის დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა საბჭოთა კავშირი, განაგრძო მალიკმა, ბრძნულად მოიქცნენ. მათ გათვალისწინეს საშუალება, რომ წინააღმდეგობა გაეწიოს უკანონო მისწრაფებებს, რომლებიც არღვევენ წესდებას და საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ასეთი საშუალებაა პრინციპი უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ერთხმივობისა ყველა დიდმნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის ახალ წევრთა მიღების საკითხზე გადაწყვეტილებების გამოტანის დროს. ეს პრინციპი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრებისათვის მიცემული უფლება — გამოიყენონ იგი და ეცადონ მის გამოყენებას მშვიდობის, ხალხთა უშიშროებისა და საერთაშორისო სამართლიანობის ინტერესებისათვის, ის საშუალებაა, რომლის დახმარებით საბჭოთა კავშირი ცდილობდა და ცდილობს კანონიერ საფუძველზე ებრძოლოს წესდებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევას ახალი წევრების მიღების საკითხში, ებრძოლოს დისკრიმინაციას სახელმწიფოთა ჯგუფის — სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიმართ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების შესახებ მათი განცხადებების განხილვის დროს.

...გადიოდა წლები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იღებდნენ სულ ახალ და ახალ წევრებს. საბჭოთა კავშირი არ ეწინააღმდეგებოდა მათ მიღებას. მან ხმა მისცა მათ მიღებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფოთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილება განსხვავდებოდა სსრ კავშირის სახელმწიფო წყობილებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ამ ქვეყანასთან საბჭოთა კავშირს დიპლომატიური ურთიერთობაც კი არა ჰქონდა. ჩვენ ზუსტად წესდების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის დებულებათა შესაბამისად ვიქცეოდით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის დროიდან გასული წლების მანძილზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღებულ იქნა 9 სახელმწიფო — ავღანეთი, ტაილანდი, შვეიცარია, ისლანდია, იემენი, პაკისტანი, ისრაელი, ბირმა და ინდონეზია, რომელთა მოსახლეობის საერთო რიცხვი 215 მილიონს აღემატება. ამ სახელმწიფოებს შორის ინდონეზია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღებულ იქნა 1950 წლის სექტემბერში.

გადიოდა დრო. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ალბანეთმა, უნგრეთმა, ბულგარეთმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ, რუმინეთმა ერთ-ერთმა პირველმა შეიტანეს განცხადებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ, მათი განცხადებანი დღიდან დღემდე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე გადადეს და გადადეს. ზოგიერთი მათგანის განცხადებები უკვე შვიდ წელიწადზე მეტია გადადებულია. აშკარა გახდა, რომ ზოგიერთი სახელმწიფო, ხელმძღვანელობს რა ფაკორიტიზმის პოლიტიკით სახელმწიფოთა ერთი ჯგუფის მიმართ და დისკრიმინაციის პოლიტიკით სხვების მიმართ, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ხელი შეუშალოს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ჯგუფის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ამ პირობებში, ხაზგასმით აღნიშნა მალიკმა, სხვა საშუალება აღარ დაგვრჩენია, თუ არა ის, რომ დავადგეთ ყველა იმ 14 სახელმწიფოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ერთდროულად მიღების გზას, რომლებმაც უკვე დიდი ხანია შემოიტანეს განცხადებანი მიღების შესახებ.

აღნიშნა რა, რომ ახალი წევრების მიღების საკითხი შეტანილია გენერალური ასამბლეის VIII სესიის დღის წესრიგში ეგრეთწოდებული ახალ წევრთა მიღების საკითხის შემსწავლელი სპეციალური კომიტეტის მოხსენებასთან დაკავშირებით, მალიკმა მოაგონა დამსწრეთ, რომ გენერალური ასამბლეის VII სესიაზე საბჭოთა კავშირის დელეგაცია კომიტეტის შექმნის წინააღმდეგი იყო, რამდენადაც აშკარად ჩანდა, რომ კომიტეტს ქმნიდნენ გარკვეული პოლიტიკური მიზნით. კომიტეტის მიერ წარმოდგენილი მოხსენებიდან ჩანს, რომ იმედი, რომელსაც კომიტეტზე ამყარებდნენ ახალი წევრების მიღების საკითხში ფავორიტიზმისა და დისკრიმინაციის პოლიტიკის გამოყენების მომხრენი, არ გამართლდა. კომიტეტის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ დელეგატები, რომლებიც სამართლიანად უდგებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხს. მიუხედავად იმათი მეცადინეობისა, ვინც ერთხმივობის პრინციპის წინააღმდეგ გამოდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცდილობდნენ სადავოდ გაეხადათ უშიშროების საბჭოში ახალი წევრების მიღების საკითხზე კენჭისყრის წესი, რომელიც წესდებით დადგენილია ამ პრინციპის საფუძველზე, კომიტეტი ვერ დაეთანხმებოდა წესდების ასეთ უკანონო გაგებას, რომელიც ეწინააღმდეგება წესდებას.

საბჭოთა კავშირის დელეგაციას, თქვა შემდეგ მალიკმა, შემოაქვს წინადადება გამოინახოს განსახილველი საკითხის გადაწყვეტა თოთხმეტივე სახელმწიფოს ერთდროულად მიღების საშუალებით. შექმნილ პირობებში ეს ერთადერთი სწორი და სამართლიანი გზაა ამ საკითხის გადასაწყვეტად. საბჭოთა მთავრობის დავალებით სსრ კავშირის დელეგაცია კვლავ აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ საჭიროა 14 სახელმწიფოს ერთდროულად მიღება, და შემოაქვს რეზოლუციის შესაბამისი პროექტი, რომელიც 30 სექტემბერს კომიტეტის პირველ სხდომაზე დაურიგდათ დელეგატებს.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ოთხი წლის წინათ შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო გერმანელი ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის ცხოვრებაში. ამ მოვლენამ უსაზღვროდ აღაფრთოვანა გერმანელი მშრომელები. ისინი ჩაებნენ უჩვეულო შემოქმედებით შრომაში. ყველგან თავდადებულად მუშაობენ, იბრძვიან ახალ-ახალი საწარმოო გამარჯვებების მოსაპოვებლად. მოკლე ხნის განმავლობაში უდიდესი მიღწევები იქნა მოპოვებული სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. ფერფლიდან და ნანგრევებიდან აღსდგნენ ქალაქები და სოფლები, ფაბრიკები და ქარხნები, შახტები და მაღაროები, სკოლები და საავადმყოფოები, კულტურული დაწესებულებები. აგებულ იქნა ბევრი ახალი საწარმო. რეკონსტრუირებულ იქნა არსებულები. ისინი დღითიდღე ზრდიან პროდუქციის გამოშვებას.

მძლავრი აღმავლობა განიცადა მრავალფეროვანმა სოფლის მეურნეობამაც. იგი აღჭურვილ იქნა უახლესი ტექნიკით. დღეისათვის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შექმნილია 600-ზე მეტი მანქანა-ტრაქტორთა სადგური. ისინი დიდ დახმარებას უწევენ გლეხობას, რომელიც თავდადებულად შრომობს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი განვითარებისათვის. მათ შორის კარგი

მუშაობით გამოირჩევა ცვეტაუს (ტორგაუს მახლობლად) მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივი. იგი თავის რიგებში ბევრ მოწინავე ადამიანს ითვლის. მათ შორის არის ტრაქტორისტი ქალი მართა კრენერტი.

პირველ სურათზე: ცვეტაუს მტს-ის ტრაქტორისტი ქალი მართა კრენერტი თავის ტრაქტორზე.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განუწყვეტლივ მრავლდება სახელმწიფო მაღაზიების რიცხვი, სადაც ბლომად მოიპოვება საჭიროებელი და სასურსათო საქონელი. ბევრი ასეთი მაღაზია გახსნილია ბერლინში, სტალინის ხეივანში. მაღაზიებში ყოველთვის ხალხის სიმრავლეა. აქ ისინი დიდი რაოდენობით იძენენ მათთვის საჭირო საქონელს და პროდუქტებს.

მეორე სურათზე: მომხმარებლები სტალინის ხეივანში გახსნილ ახალ მაღაზიაში.

ფეხბურთი

სსრ კავშირის თასის გათამაშება

გუშინ მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე სსრ კავშირის თასის გათამაშებისადმი მიძღვნილი ნახევარფინალური სასპორტო ღონისძიებანი შეადგენენ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და კუიბიშევის „ზენიტის“ გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა კუიბიშევის „ზენიტის“ გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

ამრიგად, სსრ კავშირის 1953 წლის თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ მოსკოვის „დინამოსა“ და კუიბიშევის „ზენიტის“ ფეხბურთელთა კოლექტივები.

საქართველოს პირველობის მეორე წრე

საქართველოს პირველობის გათამაშების მეორე წრის შეხვედრები გაიმართა თბილისში, სუხუმში, ბათუმში, თელავში, მახარაძეში.

„ა“ ჯგუფში თბილისის სკიფმა („მედიკი“) მოუგო თელავის „დინამოს“ ანგარიშით 7:1, წითელწყაროს „ნეფტიანიკმა“ — თბილისის 26 კომისრის რაიონის გუნდს 4:2.

„ბ“ ჯგუფში მახარაძის რაიონის „კოლმეურნისა“ და ხაშურის „ლოკომოტივის“ გუნდების შეჯიბრებაში გაიმარჯვეს მახარაძელმა ფეხბურთელებმა 5:0. სუხუმისა და ზუგდიდის დინამოელთა ასპარეზობა დამთავრდა ფრედ 1:1. ბათუმის „დინამომ“ მოუგო სტალინირის „სპარტაკს“ ანგარიშით 4:1.

„სპარტაკის“ პირველობა ველოსპორტში

თბილისის ველოტრეკზე 3 დღეს გრძელდებოდა უძლიერესთა ასპარეზობა ველოსპორტში ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდურ პირველობაზე. ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ტულის, თბილისის, ოდესის და სხვა ქალაქების 90-მდე ველოსიპედისტმა.

ქალთა შორის სპრინტერულ რბოლაში წარმატებით გამოვიდა ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე ტულელი სპორტსმენი ვ. მაქსიმოვა, რომელმაც „სპარტაკის“ 1953 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. დიდი ინტერესი გამოიწვია სპრინტერ ვაკთა ასპარეზობამ. მძაფრი ბრძოლის შემდეგ გამარჯვებული გამოვიდა სპორტის ოსტატი თბილისელი ველოსიპედისტი ვ. ჯონჯოლიანი. მან „სპარტაკის“ ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

გიტში ადგილიდან 1 კილომეტრზე გაიმარჯვა ტულელმა სპორტსმენმა ქალმა ნ. კოტიეევამ. ეს მანძილი მან 1 წუთსა და 24,9 წამში დაფარა და „სპარტაკის“ ჩემპიონი გახდა. მეორე ადგილი დაიკავა ტ. კუხარენკომ, მესამე — ა. ივანოვამ (თბილისი), ა. ივანოვამ დაამყარა საქართველოს ახალი რეკორდი. ვაკთა შორის გიტში ადგილიდან 1 კილომეტრზე „სპარტაკის“ ჩემპიონი გახდა ვ. ჯონჯოლიანი, რომელმაც ეს მანძილი დაფარა 1 წუთსა და 17 წამში.

გუნდურ ველორბოლაში ქალთათვის 3 და ვაკთათვის 4 კილომეტრზე გაიმარჯვეს ტულის ქალთა და თბილისის ვაკთა გუნდებმა, რომლებმაც ჩემპიონის წოდება მოიპოვეს. თბილისის ველომრბოლელ ქალთა და ვაკთა გუნდებმა საქართველოს ახალი რეკორდები დამყარეს.

ჩემპიონატის უკანასკნელ დღეს, 6 ოქტომბერს, გაიმართა ასპარეზობა ველორბოლაში ვაკთათვის 100 წრეზე, აგრეთვე სალიდერო ველორბოლაში 25 კილომეტრზე. გაიმარჯვეს ა. კრეიესლინშმა, ი. რიუტინმა და ა. ჩუდნოვმა (ლიდერი).

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა ტულის ველომრბოლთა კოლექტივმა. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის გუნდი, მესამეზე — კიევის სპორტსმენთა კოლექტივი.

გამარჯვეულთ გადაეცათ გარდამავალი ჯილდოები და ფასიანი საჩუქრები.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

საერთაშორისო საჭადრაკო ჯურნირი შვეიცარიაში

ციურიხი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა საჭადრაკო მატჩ-ტურნირზე გაიმართა გადადებული პარტიების გათამაშება. ტურნირის ლიდერმა გროსმაისტერმა სმისლოვმა ზუსტი თამაშით გაანაღდა ზედმეტი პაიკი პარტიაში ეიველთან და გამარჯვება მოიპოვა. პეტროსიანმა მოუგო გლეგორიჩს, რეშევსკიმ—ავერბახს, ბოლესლავსკიმ წაადო გელერთან. ყაიმით დამთავრდა კერეს-სამოს, ნაიდორფ-ტალიანოვისა და გელერ-შტალბერგის პარტიები. ჯერ კიდევ გრძელდება კოტოვ-ბოლესლავსკის პარტია, რომელშიც კოტოვი მეოდარ წინააღმდეგობას განაგრძობს მეტად მძიმე მდგომარეობაში.

19 ტურის შემდეგ წინ არიან: სმისლოვი — 12 ქულა, რეშევსკი — 11 ქულა, ბრონშტეინი — 10,5, ნაიდორფი — 10, კერესი და პეტროსიანი — 9,5 ქულა.

საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვება ნორვეგიაში

ოსლო, 5 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ნორვეგიის ქალაქებში ჰალენსა და შიენში მოეწყო მძლეოსნური შეჯიბრება საბჭოთა კავშირისა და ნორვეგიის სპორტსმენებს შორის. საბჭოთა მძლეოსნებმა პირველი ადგილი დაიკავეს ყველა სახეობის შეჯიბრებაში, გარდა ეროს ტყორცნისა.

200 მეტრზე თარჯრბენაში ფინიშთან პირველი მივიდა იური ლატუევი. 100 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა ლ. კალიაევმა — 10,8 წამი. შუბის ტყორცნაში საუკეთესო შედეგს მიაღწია ვ. ციბულენკომ — 74,93 მეტრი და ბირთვის კვრაში — ო. გრიგალკამ — 16,45 მეტრი.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. დვალიშვილმა 60 მეტრი გაირბინა 7,3 წამში და გაიმეორა მსოფლიო რეკორდი.

თბილისის სახელმწიფო სირკი

დღეს დიდი საცირკო წარმოდგენა 3 განყოფილებად

მონაწილეობენ

ჩინეთის და კორეის მსახიობები. აგრეთვე საბჭოთა ცირკის წამყვანი ოსტატები

დიდი პარადი-პროლოგი **„ხალხთა მეგობრობა“** დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირას, 11 ოქტომბერს, დღის 2 საბავშვო წარმოდგენა. დასაწყისი I—12 ს., II—3 ს. ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

7 ოქტომბერს	ზ. ფალიაშვილი — **დაისი**
8 ოქტომბერს	ჯ. ვერდი — **რიგოლეტო**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მოქალაქე **ვლადიმერ გიორგის-ძე ვარდანაშვილმა**, მცხოვრებმა კამოს ქ. № 117, აღძრა საქმე მაღაროს ქუჩა № 2 მცხოვრებ **მარიამ დანიელის ასულ ერმოლენკოსთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ქ. თბილისის ლენინის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **დავით ილიას-ძე ჯინჭველაშვილმა**, მცხოვრებმა მიასნიკოვის ქ. № 65, აღძრა საქმე ჩახრუხაძის ქ. № 2 მცხოვრებ მოქალაქე **ქსენია სოლომონის ასულ ფფლარიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

მშობლები ნინო, დიმიტრი, მეუღლე თინა, შვილები ნუცა, თამარ, ქეთო, ძმა გრიგოლ, რძალი ეთერ, ბიძაშვილები თინა, ეთერ, პეტრე ქავთარაძეები იუწყებიან **ვასილ დიმიტრის-ძე კურცხალიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7-X, 8 ს. გამოსვენება 8-X, 5 ს. საგურამოს ქ. № 10.

საქართველოს ზოოტექნიკურ-საველტერინარო ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ფენია ივანეს ასულ მირიანაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ანეტა, შვილები ნადია, ია და გრიშა კვირტელები, რძლები ქეთო ხუხუნი და თინა დარიმელია, სიძეები სერგო მალანია და კოლია ფურფუმია იუწყებიან **ნიკოლოზ ტოტის-ძე კვირტიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 11-X, სოფელ კირცხში (ჩხოროწყუს რაიონი).

დედა ფოტინე, ძმები გიორგი, დავით, და ნინო, რძლები მარო, შურა, ძმისწულები ჯონდო, ჯემალ, ქეთო, ჯუმბერ, გელა, ნანული მგელაძეები, სიძე ე. ქათამაძე შვილით იუწყებიან **ვოქტორ მგელაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 8-X, 5 ს. ვერცხლის ქ. № 38.

დები ნინო, საშა, ქეთო, ოლგა, ძმა ნიკოლოზ, რძალი მარო, სიძე მ. მახვილაძე შვილებით, დეიდაშვილები მარო, ლუბა სამყურაშვილები იუწყებიან **ელენე გიორგის ასულ ტყემალაძე-ზაბახიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7-X, 8 ს. გამოსვენება 8-X, 5 ს. ლერმონტოვის ქ. № 11.

შვილები ელენე, თამარ, ივანე, მიხეილ, რძლები ანა, ლიზა შვილებით იუწყებიან **დარიკო თეოფილეს ასულ ხოსელიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7-X, 8 ს. გამოსვენება 8-X, 5 ს. ცხრა იანვრის ქ. № 6.

შვილები მიხეილ, ნინო, თამარ, შვილიშვილები ციცინო, ბერდო ფურცელაძეები, ოთარ, ეთერ, ივთანდილ ნასიძეები, სიძეები რ. ნასიძე, კ. პერონიძე იუწყებიან **ოლღა დიმიტრის ასულ ფურცელაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-X ვეჯინში (ფურჯაანის რაიონი).

და ელენე, დისწული თამარ კუჭავები, სიძე ი. ჭავჭანიძე, რძალი მარგალიტა, ძმისწულები ელენე, ქეთო წერეთლები იუწყებიან **ეკატერინე აბესალომის ასულ წერეთლის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7-X, 8 ს. გამოსვენება 8-X, 6 ს. ახალციხის ქ. № 3.

გამომცემლობა „კომუნისტს“ ესაჭიროება **მტვირთავი მუშები.** პირობების გასაგებად მიმართეთ: ლენინის ქ. № 14, მე-3 სართული, ოთახი № 1.

ძმები სილოვან, ევსევი, იონა, არისტოულ, რძალი ეკატერინა ოჯახებით იუწყებიან **კონდრატ ერასტის-ძე გაბიჩვაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7-X, 8 ს. გამოსვენება 8-X, 5 ს. გოგოლის ქ. № 10.

მარგარიტა, შოთა, მანანა ტაბიძეები, ქეთო ანდღულაძე იუწყებიან სიძის **ვიქტორ სარდიონის-ძე მგელაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 8-X, 5 ს. ვერცხლის ქ. № 38.

მეუღლე ანა, შვილი ნიკოლოზ, რძალი თინა, შვილიშვილები გურამ, ნათელა მეფარიშვილები იუწყებიან **ალექსანდრე გიორგის-ძე მეფარიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-X ზემო ფარცხმაში (ჩოხატაურის რაიონი).

თ. დავითაშვილი, შ. ლებანიძე, ი. შუკაკიძე, ი. ღლონტი, ვ. ტონია, ე. გვანცელაძე, გ. მამუკელაშვილი, ი. ბალუაშვილი, ს. გოქსაძე, ა. ვართანოვი იუწყებიან **მოსე ოსების-ძე გოგოლაძის** გარდაცვალებას.

თბილისის ორჯონიკიძის რაიფინგანის თანამშრომლები იუწყებიან **ელენე გიორგის ასულ ტყემალაძე-ზაბახიძის** გარდაცვალებას.

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის თანამშრომლები იუწყებიან **ანდრო ნესტორის-ძე მარჯანიშვილის** გარდაცვალებას.

სოციალურ და კულტურულ საკითხთა კომიტეტში

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). ამ დღეებში სოციალურ და კულტურულ საკითხთა კომიტეტმა დაიწყო განხილვა საკითხისა „ქალთა პოლიტიკური უფლებების გაფართოება იმ დარგებში, რომლებშიც ქალი მთელი სისრულით ვერ სარგებლობს ამ უფლებებით“, და საბერძნეთის, დომინიკოს რესპუბლიკის, ინდოეთის, ინდონეზიის, კუბისა და ჩილის მიერ შეტანილი რეზოლუციისა. ეს რეზოლუცია რჩევას იძლევა: „მიღებულ იქნას ყველა საჭირო ღონისძიება, რათა გაფართოვდეს, განსაკუთრებით განათლების განვითარების გზით, ქალის პოლიტიკური უფლებანი ყველგან, სადაც იგი მთელი სისრულით ვერ სარგებლობს ამ უფლებებით. მათ შორის სამეურვეო და არათვითმმართველ ტერიტორიებზე“.

მთელმა რიგმა დელეგატებმა ეს რეზოლუცია გააკრიტიკეს მისი შეზღუდულობის გამო. მაგალითად, სირიის წარმომადგენელმა მუფტიმ გამიანცადა, რომ განათლება, მისი აზრით, მხოლოდ მოსამზადებელი ღონისძიებაა ქალებისათვის პოლიტიკურ უფლებათა მისანიჭებლად და ამიტომ საჭიროა საკანონმდებლო ღონისძიებანი ამ უფლებათა უზრუნველსაყოფად. მან აგრეთვე მოითხოვა, რომ ამასთან უზრუნველყოფილ იქნას ისეთი პირობები, რომლებიც გამორიცხავენ დისკრიმინაციის შესაძლებლობას ქალების მიერ დედაენაზე განათლების მიღებისას.

ინდოეთის წარმომადგენელმა მენონმა მოიყვანა ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ აზიისა და ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები არიან, ქალებს არა აქვთ მამაკაცთა უფლებების თანაბარი უფლებანი.

ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა ნოვიკოვამ თავის სიტყვაში დაწვრილებით დაახასიათა საბჭოთა ქალების მდგომარეობა და ცხადყო, რომ ისინი სარგებლობენ ყველა პოლიტიკური და ეკონომიური უფლებით. ნოვიკოვამ აღნიშნა ის ფაქტი, რომ